

კერძო პირთათვის 10.000 მან.  
სახელმწ. დაწესებულებათათვის 7000 მ.

პროლეტარებო ეველა ქვეუნიხა, შეერთდით!

ქართული  
ბიბლიოთეკა


შაბათი, იანვ. 14.

წალიწაღი  
მეორე

# მთაბე

1922 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.



№ 25

ყოველ კვირეული ორგანო.

№ 25

## მიიღება ხელის მოწერა

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ყოველ კვირეულ ყურნალ

1515  
1922

## „მთაბე“-ზე

1922 წლის პირველ იანვრიდან ყურნალი თვიურად ეღირება პარტიულ, სახელმწიფო და პროფესიონალურ დაწესებულებათათვის თვეში 28,000 მანეთი, (ცალკე ნომერი 7,000 მ.),  
კერძო პირთათვის თვეში 40,000 მან. (ცალკე ნომერი 10,000 მან.).

ყურნალში მოსთავსებლად მიიღება განცხადებანი, როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათაგან, აგრედვე კერძო პირთაგან.

## ეველა მოქალაქე ვალდებულია „მთაბე“-ში მოათავსოს განცხადება პირადობის და გამსჭვისებალ მოწმობის დაპარგვის შესახებ.


1922 წლის განმავლობაში ყურნალის ოფიციალურ განყოფილებაში დაიბეჭდება ს. ს. ს. რ. მთავრობის ყველა დეკრეტი, ბრძანება და დადგენილება, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ბრძანებები, ცირკულიარები და დადგენილებანი და აგრედვე ყველა უწყებათა ბრძანებანი და დადგენილებანი, ზოგადი საკანონმდებლო და სააღმშენებლო ხასიათისა.

განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული ყურნალის არა ოფიციალურ განყოფილებას, სადაც პერიოდულად მოთავსდება განმარტებანი მთავრობის დეკრეტებისა, საღისკუსიო და ზოგადი ხასიათის წერილები საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ, ანგარიშები შინაგან საქმეთა კომისარიატის და მის ქვედებარე ორგანოების მოღვაწეობის შესახებ, მიმოხილვა ადგილობრივი, რუსეთის და უცხოეთის ცხოვრებისა, შეკითხვები ადგილებიდან და საერთო ინფორმაცია. ყურნალში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა აღმშენებლობის მკოდნე თანამშრომელნი.

ჩედაქცია ღიაა დღის 8 ს. 3 საათამდე კვირა-უქმების გარდა.

ჩედაქციის მისამართი

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ევანგულოვის ქ. № 1. (ყოფ. — ქაღეტთა კორპუსის შენობა) ტელეფონი № 6 - 80





# ოფიციალური განყოფილება

## დებრეტი № 84.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლუციონურ კომიტეტისა

საფასურების ვიდვა-გაყიდვისა და შეჩანვის თავისუფალი ოპერაციების წარმოების აკრძავის შესახებ.

1. ძვირფასი ლითონის (ოქრო, ვერცხლი და პლატინა) ზოდობად თავისუფალი ყიდვა გაყიდვისა და შეჩანვის ოფორმა ეძლევა მხოლოდ საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

2. ყოველი ორჯანიზაციისა, დაწესებულებისა გაონაკლისად, (გარდა ფინანსთა სახ. კომისარიატისა) და კრძო პირისათვის აკრძალულია პირველ მუხლში აღნიშნული ოპერაციების წარმოება.

3. აკრძალულია ყიდვა-გაყიდვა სასპეკულიაციო მიზნით ძვირფასი მერკალის ნაკეთობისა, ბრილიანტისა და სხვა ძვირფასი ქვებისა და აგრეთვე სხვა ძვირფასი ნივთებისა.

შენიშვნა: ნიბა ეძლევა იქონიოს გასაკეთებლად რა არა გასაყიდად:

ა) ოქროს ნაკეთობის ხელოსანს, უკეთუ მას სახელოსნო აქვს—არა უმეტეს ორმოცდაათი მისხალი უნაკეთო ოქროსი;

ბ) ვერცხლის ნაკეთობის ხელოსანს, უკეთუ მას სახელოსნო აქვს არა უმეტეს ორას მისხალ უნაკეთო ვერცხლისა.

გ) საიუფილირო მალაზიებს, რომელთაც სპეციალური სახელოსნოები არ მოეპოვებათ ოფორმა არა აქვთ იყიდონ ოქრო და ვერცხლი ზოდობად ან ნატიბად.

დ) შიძენილი ოქრო ვერცხლის აღნიშნვისათვის, იუველირი და ვერცხლის ხელოსანი ვალორებულთა იქონიოს ზონარ გაყრილი დაფთარი; ოქრო ვერცხლის რახარჯა სწარმოებს მხოლოდ სასინჯი პალატის ნიშნდასებით, რისთვისაც საჭიროა უკანასკნელისაგან იფრანკიის მიღება.

4. საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებიდან ძვირფასი მერკალის ნაკეთობისა, ბრილიანტისა და სხვ. ძვირფასი ქვებისა და აგრეთვე ძვირფასი ნივთების გაჩანა ნებადართულია, მხოლოდ ამ საგნისათვის დაწესებული ნორმით.

5. აკრძალულია შეჩანვა, ყიდვა-გაყიდვა და საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებიდან გაჩანა ყოველგვარი ფასიანი (პროც.) ქალაღლისა, როგორც არის მაგალითად ყოფილი რუსეთის იმპერიის სახელმწიფო სესხის, კრძო აქციონური კომპანიისა და საზოგადოებისა და აგრეთვე საკრედიტო და დაშლვივ საზოგადოებათა აქციები.

6. ყოველი პირი და დაწესებულება ვალდებულია ექვენი თავის ვადის განმავლობაში, ამა დეკრეტის გამოქვეყნების დღიდან, ჩაბაროს ფინანსთა სახალხო კომისარიატს მე-ნ მუხლში დასახელებული ფასიანი პროცენტის ქალაღლები.

7. ყოველი პირი, რომელიც შემჩნეული იქმნება ამა დეკრეტის მე-2, 3, 4, 5 და მე 6 მუხლის დარღვევაში, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით და შემოაღნიშნულ მუხლებში ჩამოთვლილი ნაყრი, ან შესანახი საგნები ჩამოერთმევა კონფისკაციის წესით.

8 დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგ. ს. ქავთარაძე.

ფინანსთა სახალხო კომისარი სვანიძე.

რევოლ. კომიტეტის მდივანი ალ. საღარაძე.

1921 წ. დეკემბრის 20. თბილისი, —სასახლე.

## № 84 დეკრეტის დანართი

### ნორმა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებიდან ძვირფასი ლითონის ნაკეთობისა, ბრილიანტისა, ძვირფასი ქვებისა და სხ. ძვირფასი ნივთების გაჩანისათვის

1. ოქროს და პლატინის ნაკეთობა საერთო წონით არა უმეტეს თექვსმეტი მისხლისა თვითეულ ადამიანზე, ვერცხლის ნაკეთობა არა უმეტეს ორი გრვანქისა თვითეულ ადამიანზე ან ხუთი გრვანქისა ოჯახზე.

2. ძვირფასი ქვების ნაკეთობა, აგრეთვე მარგალიტი საერთო წონით არა უმეტეს ორი კარატისა—მარტონხელსა და ოჯახის პატრონისათვის და თითო კარატისა ოჯახის დანარჩენ წევრებისათვის.

შენიშვნა: თვითეული მოზრდილი პირისათვის ნებადართულია ოქროს და ვერცხლის საათისა, ნიშნობის ბეჭდისა, ვერცხლის პორტსიგარისა და ქალის ვერცხლის საფულეს გატანა ყოველი ამ ნივთთაგანის თითო ცალისა. ამასთანავე ამ ნივთების წონა არ შედის წინა მუხლებით დაწესებულ ნორმაში.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ს. ქავთარაძე.

ფინანსთა სახ. კომისარი სვანიძე.

რევოლუციონურ კომიტ. მდივანი ალ. საღარაძე

1921 წ. დეკემბრის 20. თფილისი, —სასახლე.



# დეკრეტი № 85.

საქართველოს სოც. საჭ. რესპ. რევოლიუციონ-  
ური კომიტეტისა შურნალ-გაზეთების გაუიღ-  
ვის პირობების შესახებ.

1. დაწყებულ იქნეს გაზეთებისა და ჟურნა-  
ლების გაყიდვა.

**შენიშვნა:** გაზეთებისა და ჟურნალების  
უფასოდ მიწოდება მოსპოს.

2. გაზეთებისა და ჟურნალების გაყიდვის ორ-  
განიზაცია მიენდოს სახელმწიფო გამოცემა მლობას.

**შენიშვნა:** კომ. ნტენტური ორგანო წი-  
ნსწარ აწესებს სახელმწიფო გამომცემლობი-  
სათვის საფალდებულო უფასო აბონენტების სიას.

3. სახელმწიფო გამომცემლობა რედაქციებსა  
და სტამბობთან არსებული თავისი აპარატის შემ-  
ვირებით თავის დროზე მიიღებს გაზეთებსა და ჟურ-  
ნალებს გასანაწილებლად ხელის მომწერთა შორის,  
აგრეთვე ქალაქში გასაყიდათ და პროვინციაში გა-  
საგზავნად.

**შენიშვნა:** სახელმწიფო გამომცემლობა ერ-  
თნაირად მიიღებს გასაყიდად და გასაგვრცე-  
ლებლად საქართველოს ტერიტორიაზე ყველა  
გამომცემულ გაზეთებსა და ჟურნალებს ხოლო  
მეზობელ რესპუბლიკებში გამოცემულ გაზე-  
თებსა და ჟურნალებს მიიღებს თვით გამომცე-  
მლობ სთან განსაკუთრებული შეთანხმებით.

4. ამ ქველ პროვინციაში არსებული საქსპე-  
დიკო პუნქტები და ბეჭდვითი ცენტრის განყო-  
ფილება უქმდება და, მათ ნაცვლად, გაზეთებისა  
და ჟურნალების გაყიდვა გადაეცემა კერძო კონტ-  
რაგენტებს.

5. აგენტების თანამ ებობაზე პროვინციაში, —  
დაბებსა და ქალაქებში, აგრეთვე სარკინისგზო გან-  
ჯინების (კიოსკების) გამკეთა თანამდებობაზე მიიღე-  
ბიან ის პირნი, რომლებსაც ექნებათ ადგილობრივი  
პარტიული კომიტეტისა და რევოლ. კომიტეტის რე-  
კომენდაცია, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მათ  
მიერ რეკომენდაციით აუქუფილი პირები რაიმე  
მხრით არ აკმაყოფილებენ მათთვის სავალდებულო  
პირობებს, აგენტი მოვალეა წარმოადგინოს სათა-  
ნადო საწინდარი (залог).

**შენიშვნა:** საწინდრის ზომის დაწესება  
ყოველ კერძო შემთხვევაში დამოკიდებულია  
გაზეთებისა და ჟურნალების გავრცელების რაო-  
დენობაზე მაგრამ მისი საერთო ჯამი არ უნდა  
აღემა რედაქციისა და გაზეთების გა-  
ყიდვისაგან მიღებულ ერთი კვირის ჯამს.

6. პროვინციული აგენტები მიიღებენ გაზეთებს  
25 პროც. დაკლებით.

7. გაზეთებისა და ჟურნალების გავრცელების  
მიზნით ქ. ტფილისში სახელმწიფო გამომცემლობა  
აქრებს შესაფერ ადგილებში კიოსკებს, რომელთა  
გამგენი მიიღებენ გაზეთებს 20 პროც. დაკლებით.

**შენიშვნა:** ისეთსავე კიოსკებს, საქირლე-  
ბის დაკვლად, დაარსებენ პროვინციული კონ-  
ტრაგენტებიც.

8. კიოსკების გარდა, გაზეთებისა და ჟურნა-  
ლების გაყიდვა ქ. ტფილისში დაიკისრება მევაზე-  
თებსაც, რომელსაც მიიღებენ გაზეთებს 20 პროც.  
დაკლებით.

9. გაზეთებისა და ჟურნალების ფართოდ გა-  
სავრცელებლად განახლებულ უნდა იქნეს სარკი-  
ნისგზო განჯინები და კიოსკები, რომელთა გამგენი  
მიიღებენ გაზეთებს 25 პროც. დაკლებით.

10. უკან დაბრუნებული გაზეთებისა და ჟურ-  
ნალების მიღება აკრძალულია.

11. ამ ქველ არსებული გაზეთებისა და ჟურ-  
ნალებს და ზაქნის სასტემა ლიტერატურული ვა-  
გონებით უქმდება და ამის ნაცვლად, შემოღებულ  
უნდა იქნეს ბაჟათ, ან ფოსტით, ვაგ'აენა, რის-  
თვისაც ცენტრ ლური ექსპედიცია, თავისი საკუ-  
თალი წესდებულის შემკობით, ჩააბაოებს გაზე-  
თებსა და ჟურნალებს რკინის გზის საბაჟო განყო-  
ფილებას ანგარიშით, ხოლო ფოსტით გაზეთები  
დაგზავნებათ ბარტო პროვინციულ ხელის მომ-  
წერთ.

12. ქალაქისათვის, სარკინისგზო განჯინი გარ-  
და, შემოღებულ უნდა იქნეს სადღე და დამო ანგა-  
რიში გაყიდული გაზეთებისა და ჟურნალებისა, პრო-  
ვინციული აგენტები და განჯინების გამგენი იძლე-  
ვიან ანგარიშს თვეში ორჯერ, ე. ი. ყოველი თვის  
პირვილსა და ხუთმეტს რიცხვში, ხოლო ტფილი-  
სის სადგურის განჯინის გამგე ყოველ სამ დღეში  
ერთხელ.

13. განცხადებათა გაზეთებში ბეჭედა ნებადა-  
რთულია მხოლოდ განსაკუთრებული ფასით დამტ-  
კიცებული ნიხრის მიხ დვით.

14. გაზეთების კელლებზე გაკრა უქმდება.  
აფიშების გაკრა სწარმოებს კონტრაგენტების მე-  
შეკაით.

15. გაზეთები „პრავდა გრუზია“, „კომუნის-  
ტი“ და „კარმირ ასტლ“ თავისუფალ ბაზარზე იყი-  
დება თითო ცალი ხუთ ათას მანეთად

16. პროფკავშირები და საბჭოთა შთავრობის  
დაწესებულებანი შემოადნის უნ გაზეთებს მიიღე-  
ბენ თითო ცალს ორი ათას მანეთად.

17. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი  
გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საჭ. რესპუბ. რევოლიუ-  
ციონური კომიტეტის თავმჯდომარის  
მოადგილე ს. ქავთარაძე.

განათლების სახალხო კომი-  
სარი დ. კანდელაკი.

რევოლიუციონური კომიტეტის  
მდივანი აღ. ხალარაძე.

1921 წ. დეკემბრის 26.  
ტფილისი—სასახლე.



დამტკიცებულია საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რეგულირ. კომიტეტის მიერ 1921 წ. დეკემბრის 22.

ს. რევკომის თავმჯდომარის მოადგილე ს. ქავთარაძე. ტფილისი—სასახლე.

### დ ე გ უ ლ ე გ ა

სათემო და სამაზრო საბჭოებისა და საქართველოს საბჭოთა ყრილობის არჩევნებისათვის

ვინ ირჩევს და ვინ შეიძლება იქნეს არჩეული.

1. საბჭოებში არჩევის უფლება და ის უფლება რომ თვით იქნეს არჩეული აქვთ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა ორივე სქესის ქვემოლ ჩამოთვლილ მოქალაქეთ, განურჩევლად სარწმუნოებისა, ეროვნებისა, ბინადრობისა და სხვ., რომელთაც არჩევნების დღისათვის ავტომატი წელი შეუსრულდათ:

ა) ყველა მოქალაქეს, ვინც შოულობს ცხოვრების სახსარს ნაყოფიერი და საზოგადოებრივ სასარგებლო შრომით და აგრედვე იმ პირთ, ვინც ეწევა საოჯახო მეურნეობას და ამით პირველთათვის ჰქმნის ნაყოფიერი შრომის შესაძლებლობას, როგორც მაგ. მუშების და ყოველგვარი სახისა და კატეგორიის მოსამსახურენი, რომელნიც მეცადინეობენ მრეწველობასა, ვაჭრობასა, სოფლის მეურნეობასა საბჭოთა დაწესებულებებში და სხვ.,—და აგრეთვე მიწისმფლობელ გლეხებს, რომელნიც მოგებისათვის დაქირავებულ შრომას არ მიმართავენ.

ბ) საქართველოს წითელ არმიას, რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის წითელ არმიას, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება და აგრეთვე ფლოტს.

**შენიშვნა: 1:** ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვთ, ცენტრალური ხელისუფლების დასტურით, შეამცირონ ამა მუხლში გათვალისწინებული წლოვანების ნორმა.

**შენიშვნა: 2.** საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკა ხელმძღვანელობს ყველა ერის მშრომელთა სოლიდარობის პრინციპს და ანიჭებს რა საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. მოქალაქის ყველა პოლიტიკურ უფლებას უცხოელთაც, რომელნიც სცხოვრობენ საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე შრომის მიზნით და ეკუთვნიან მუშათა კლასს, ან გლეხობას, რომელნიც არ მიმართავენ დაქირავებულ შრო-

მას, ანიჭებს შათ აგრეთვე აქტიურსა და პასიურ საარჩევნო უფლებას.

2. არა აქვთ უფლება აირჩიონ ან თვით არჩეულ იქნენ, თუნდა რომელიმე ზემოდ აღნიშნულ კატეგორიას ეკუთვნოდნენ:

ა) იმ პირთ, რომელნიც მოგების მიზნით დაქირავებულ შრომას მიმართავენ.

ბ) იმ პირთ, რომელნიც სცხოვრობენ არა შრომის შემოსავლით. მაგ. კაპიტალის პროცენტით, წარმოების მოგებით, ქონების შემოსავლით.

გ) კერძო ვაჭრებს, სავაჭრო და კომერციულ შუამავალთ.

დ) ბერ-მონაზონთ ეკლესიებისა და სარწმუნოებრივი კულტის სასულიერო მსახურთ.

ე) მოსამსახურეთ და აგენტებს ყოფილი პოლიციისა და ჯანდარმთა ცალკე კორპუსისა, საჯა-შუშო (ობრანოვ) განყოფილებისა და განსაკუთრებული რაზმისა.

### 2 საარჩევნო კომისიები

3. თემისა, მაზრის და რესპუბლიკის მასშტაბის საბჭოთა არჩევნებისათვის მოეწყოს:

ა) საქ. სოც. საბჭ. რესპ. საბჭოების მოწვევის ცენტრალური საარჩევნო კომისია.

ბ) სამაზრო საარჩევნო კომისიები და გ) სათემო საარჩევნო კომისიები.

4) ცენტრალური საარჩევნო კომისია არსდება საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლ. კომიტეტის მიერ. კომისია შესდგება ცხრა წევრისაგან და საქართველოს რევ. კომიტეტის პრეზიდიუმის კონტროლის ქვეშ, ხელმძღვანელობას უწევს არჩევნების წესს მთლად საქართველოში.

5) სამაზრო საარჩევნო კომისია უნდა მოეწყოს სამაზრო რევ. კომიტეტის მიერ, ხუთი წევრის შედგენილობით და დამტკიცებულ იქნეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიის მიერ. სამაზრო საარჩევნო კომისია სამაზრო რევოლ. კომიტეტის კონტროლის ქვეშ, ხელმძღვანელობას უწევს არჩევნების წესს თავის მაზრის ფარგლებში.


**შენიშვნა:** სამაზრო საარჩევნო კომისია არა ჰქმნის საკუთარ აპარატს, არამედ გამოიყენებს სამაზრო რევოლ. კომიტეტის შინაგან მმართველობის განყოფილების აპარატს.

6) სათემო საარჩევნო კომისია უნდა მოეწყოს სამაზრო საარჩევნო კომისიის მიერ სამი წევრის შედგენილობით. პასუხისმგებლობა თემის კომისიების ორგანიზაციისა და მუშაობისათვის ეკისრება სათანადო სამაზრო კომისიას.

**შენიშვნა:** თემის საარჩევნო კომისია გამოიყენებს თემის რევ. კომიტეტის აპარატს.

7. სამაზრო და სათემო საარჩევნო კომისიებში წევრად შესვლა შეუძლია მხოლოდ იმ მოქალაქეს, რომელმაც თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობით ცხად-ჰყო, რომ მდგარი დამცველია მშრომელთა ინტერესებისა.





8. ცენტრალური საარჩევნო კომისია ჰგზავნის თითო წარმომადგენელს ყოველ სამაზრო კომისიაში არჩევნების ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობისათვის.

შენიშვნა: საარჩევნო კომისიისათვის არჩევნების მოწყობის გასაადვილებლად, ცენტრალური კომისია შეძლებისამებრ, საარჩევნო კომისიათა განკარგულებაში გზავნის განსაკუთრებულ ინსტრუქტორებს, რომელთა დანიშნულებას წარმოადგენს არჩევნებისათვის ტექნიკური მუშაობის წარმოება და აგრეთვე მიწოდება სამაზრო და სათემო საარჩევნო კომისიისათვის ყველა საჭირო საარჩევნო მასალებისა, როგორც არის მაგ. ბლანკები, ქაღალდი, ფურცლები და სხვ.

9. საარჩევნო მუშაობის წესიერად წარმოებისათვის სამაზრო საარჩევნო კომისია დაჰყოფს მთელ მაზრას რაიონებათ, გაგზავნის თავის წარმომადგენლებს და ინსტრუქტორებს, ჰნიშნავს წინასწარ საარჩევნო სამზადისის დღეს, აგრედვე თემის საბჭოებისა და სამაზრო ყრილობის არჩევნების ვადას.

10. საარჩევნო კომისიას დაევალება თვალყური აღედგინოს რათა არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ იმ მოქალაქეებმა, რომელთაც საამისო უფლება აქვთ.

**3. თემის საბჭოთა არჩევნები**

11. თემის საარჩევნო კომისიები, დაარსებისასთანავე სამაზრო საარჩევნო კომისიის რწმუნებულისა ან ინსტრუქტორის ხელმძღვანელობით შეუდგებიან: 1) თემის ფარგლებში დასახლებული პუნქტების მოქალაქეთა აღწერას, ამომრჩევთა სიების შედგენით, 2) იმ მცხოვრებთა აღწერას, რომელთაც არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება არა აქვთ.

12. არჩევნების დღეს, საარჩევნო კრების გახსნამდე, საარჩევნო კომისია შეამოწმებს კრებაზე დამსწრეთ და განკარგულებას ვასცემს, რათა, ვისაც არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება არა აქვს, საარჩევნო კრების დარბაზი დასტოვოს.

13. საარჩევნო კრების გახსნისათვის საჭიროა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის ნახევრის დასწრება. მაგრამ განსაკუთრებული პატრესადები შემთხვევების გამო საარჩევნო კრება შეიძლება ჩაითვალოს კანონიერათ, თუნდაც ნახევარზე ნაკლები დაესწროს, ხოლო საარჩევნო კომისიის განსაკუთრებულ დადგენილებათ, რაიც შეტანილ უნდა იქნეს ოქმში.

14. საარჩევნო კრების გახსნის შემდეგ, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე უთმობს თავმჯდომარეობას ადგილობრივ თემის რევ. კომიტეტის წარმომადგენელს.

15. არჩევნების დაწყების წინ, თავმჯდომარე უკითხება კრებას აქვს თუ არა რომელიმე ამომრჩეველთაგანს განცხადება კრებაზე დამსწრე და სიამო

შეტანილ ერთისა ან რამოდენიმე ამომრჩეველს უკუქცევისათვის.

16. უკეთეს ასეთი განცხადება შემოტანილი იქნა, იგი დაუყოვნებლივ განიხილება საარჩევნო კომისიის მიერ იმ შემთხვევაში თუ განცხადება უკუქცევის შესახებ სამართლიანად იქნა ცნობილი. უკუქცევი პირი მაშინვე სტოვებს კრების დარბაზს.

17. ამის შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს წინასწარ წარდგენილ საბჭოს წევრთა კანდიდატების სიებს და წინადადებას აძლევს კრებას დაასახელონ კიდევ სხვა კანდიდატები.

18. თვითეთული კანდიდატის შესახებ შეიძლება წინასწარ მოხდეს მსჯელობა თუ კრება ამას საჭიროდ დაინახავს.

19. ხმის მიცემს წესი (ხელის აწევით, ბარათებით ცალკე კანდიდატებისა და მთლიანად სიისათვის), განისაზღვრება სათემო საარჩევნო კომისიის მიერ.

20. არჩევნების დამთავრებისას, საარჩევნო კომისია ავგენს ოქმს (ორ ცალად) არჩევნების მიმდინარეობის, თანახმად ამისათვის შემუშავებული ფორმისა, (იხ. დანართი 1.)

21. არჩევნების დამთავრებისას, ოქმები და აგრეთვე ყველა სხვა საარჩევნო მასალა, თემის საარჩევნო კომისიის მიერ დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს სამაზრო საარჩევნო კომისიას, რომელიც თავისი მხრით ყველა საარჩევნო მასალას ამა თუ იმ მაზრის თემის საბჭოებისას გადასცემს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, გარდა საარჩევნო ოქმის მეორე ცალისა, რომელიც რჩება თემის აღმასრულებელ კომიტეტის საქმეში.

22. ახლად არჩეული თემის აღმასრულებელი კომიტეტი თემის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მონაწილეობით განიხილავს ამომრჩეველთა განცხადებებსა და საჩივრებს, უკეთეს აღმასრულებელი კომიტეტი დაინახავს რომ ვინმე დღეგატთაგანი წეს-გარეშე არის არჩეული, ჩამოართმევს მას უფლებას და დაადგენს ან მოხდეს დებუტატის ხელახალი არჩევა, ან მის მაგივრად მოწვეულ იქნეს პირველი კანდიდატი სიის მიხედვით.

23. განცხადება მთლად თემის საბჭოსა და აღმასრულებელ კომიტეტის წეს გარეშე არჩევის შესახებ, წარედგინება სამაზრო საარჩევნო კომისიას: ასეთი განცხადების ვანსახილველად სამაზრო საარჩევნო კომისია დანიშნავს განსაკუთრებულ კომისიას უკე თუ სამაზრო საარჩევნო კომისია სცნობს, რომ თემის საბჭო და აღმასრულებელი კომიტეტი წეს გარეშე არჩეულია, იგი ჩამოართმევს საბჭოთა და აღმასრულებელი კომიტეტს წევრებს უფლებას და დანიშნავს ახალ არჩევნებს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელობით.

24. ამომრჩეველთ, რომელთაც გაგზავნეს საბჭოში დებუტატები უფლება აქვთ ყოველთვის გამოიწვიონ იგე უკანვე და მოახდინონ ახალი არჩევნები, თანახმად საერთო დებულებისა.



**4. თემის საბჭოთა და აღმასრულებელ კომიტეტის კონსტ უქცია.**

25. თემის საბჭო უნდა შესდგეს იმ ანგარიშით რომ თემის ყველა დასახლებულ პუნქტების თვითეული ას მცხოვრებზე მოსლიოდეს ერთი დეპუტატი.

**შენიშვნა: 1:** თემის დასახლებული პუნქტები, სადაც 100-ზე ნაკლები მცხოვრებია უნდა შეუერთდნენ.

**შენიშვნა: 2.** უკეთუ შორს მდებარე პუნქტებიდან ამომრჩეველები ვერ შესდგებენ არჩევნებზე გამოცხადებას, — დეპუტატების არჩევნები შეიძლება მოხდეს ადგილობრივ თემის საარჩევნო კომისიის ერთ-ერთი წევრისა ან რწმუნებულის ხელმძღვანელობით.

26. თემის საბჭო აირჩევს თემის აღმასრულებელ კომიტეტს, არა უქეტეს ხუთისა და არა ნაკლებ სამი წევრის შედგენილობით და შეადგენს აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნების ოქმსა. იგივე თემის საბჭო აირჩევს საბჭოთა სამაზრო ყრილობასათვის თითო დელეგატს თემის ყოველ 1000 მცხოვრებზე.

**5. ქალაქებისა, სამრეწველო დასახლებულ ადგილებისა და დაბებისა და ცალკე განყოფილი დიდი სოფლების საბჭოები.**

27. ქალაქები, დაბები, სამრეწველო დასახლებული ადგილები და დიდი სოფლები, როგორც არის მაგალითად, ბორჯომი, ხაშური, სურამი, ცხინვალი (კორის მაზრა) ველისციხე, ლაგოდეხი (სიღნაღის მაზრა) შულავერი (ბორჩალოს მაზრა) ტყიბული, სამტრედიო, ხონი (ქუთაისის მაზრა) ჩაბრი, საჩხერე, ქიათურა (შორაპნის მაზრა), მანგლისი (ტფილისის მაზრა), ლანჩხუთი (ოზურგეთის მაზრა), — არსებენ თავიანთ საბჭოებს ნორმით — ერთი დეპუტატი ყოველ 1000 მცხოვრებზე, ხოლო არა უმცირეს 15 და არა უქეტეს 50 დეპუტატისა, გარდა ქალაქ ფოთისა და ტფილისისა.

**შენიშვნა:** საარჩევნო მეტრს, მუშათა წარმომადგენლობის პრინციპით, თვით განაზღვრავენ და აცნობებენ სამაზრო საარჩევნო კომისიას.

28. საბჭო აირჩევს აღმასრულებელ გამარტივებულ კომიტეტს საქალაქო ტიპისამებრ, — 7 წევრისაგან, ქალაქები: ტფილისი, ფოთი და ბათუმი აირჩევენ აღმასრულებელ კომიტეტებს შედგენილობით 15 — 25 წევრამდე.

29. საბჭოები მიიღებენ მონაწილეობას სამაზრო ყრილობებში და მათი მეშვეობით საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის საბჭოების ყრილობაში გარდა ქ. ტფილისისა და ფოთისა, რომელნიც გზავნიან თავიანთ დელეგატებს საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე უშუალოდ.

**6. საბჭოთა სამაზრო ყრილობები.**

30. საბჭოთა სამაზრო ყრილობა შესდგება: თემის საბჭოთა წარმომადგენლებისაგან იმ ანგარიშით, რომ თემის ყოველ 1000 მცხოვრებზე მოდიოდეს თითო დელეგატი; სამაზრო ქალაქს საბჭოს წარმომადგენელთაგან, სამრეწველო დასახლებულ ადგილებისა, დაბებისა და დიდი სოფლების წარმომადგენელთაგან იმ ანგარიშით, რომ ყოველ ორას ამომრჩეველზე მოდიოდეს თითო დელეგატი, ხოლო არა უქეტეს 300 დელეგატისა მთელი მაზრისათვის.

**შენიშვნა: 1:** ჯარის ნაწილები მოთავსებულნი სამაზრო ქალაქში, გზავნიან თავიანთ დელეგატებს მუშათა წარმომადგენლობის პრინციპის მიხედვით ე. ი. ერთ დეპუტატს თვითეულ 200 ამომრჩეველზე.

**შენიშვნა: 2:** ჯარის ნაწილები, მოთავსებულნი მაზრის ტერიტორიაზე, სამაზრო ქალაქს გარეშე, გზავნიან თავიანთ დელეგატებს სამაზრო ყრილობაში იმავე პრინციპით, ხოლო თვინიერ თემის საბჭოსა უშუალოდ.

31. სამაზრო ყრილობა აირჩევს სამანდატო კომისიას — რიცხვით სამიდან ხუთამდე — დეპუტატების რწმუნებულობითა შესამოწმებლათ.

32. საბჭოთა სამაზრო ყრილობა შეადგენს ყრილობის ყველა წევრთა ანკეტას (თანახმად ამას თანავე დართულ ფორმისა) აირჩევს ყრილობის პრეზიდიუმს და შეადგენს სხდომის ოქმს.

ყველა ანკეტა და ყრილობის სხდომის ოქმები უნდა გაეგზავნოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

33. სამაზრო ყრილობა აირჩევს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს არა ნაკლებ 12 და არა უქეტეს 15 წევრის შედგენილობით.

**შენიშვნა: 1:** გამონაკლისს წარმომადგენს ბათუმის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც შეადგება 25 წევრისაგან.

**შენიშვნა 2:** სამაზრო ქალაქები არ ირჩევენ თავიანთ ტერიტორიაზე აღმასრულებელ კომიტეტებს, არაქედ ირჩევენ მხოლოდ საბჭოს. სამაზრო ქალაქის ყოველ საქმეს განაგებს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის პრეზიდიუმი ამავე დროს არის სამაზრო ქალაქს საბჭოს პრეზიდიუმი.

**შენიშვნა 3:** განცხადება სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის უკანონო არჩევის შესახებ — წარედგინება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

**7. საქართველოს საბჭოთა ყრილობა**

34. საქართველოს საბჭოთა ყრილობა სდგება სამაზრო და ავტონომიური ოლქების საბჭოთა ყრილობებისა, ქალაქების საბჭოებისა და სამრეწ-



ველო დასახლებული ადგილების საბჭოთა წარმომადგენელთაგან იმ ანგარიშით, რომ სამაზრო და სოლქო ყრილობების სოფლის ყოველ 10.000 მცხოვრებზე მოდიოდეს ერთი დელეგატი, ხოლო ქალაქებისა და სამრეწველო დასახლებულ ადგილების საბჭოების ყოველ 2000 ამომრჩეველზე მოდიოდეს ერთი დელეგატი.

**შენიშვნა:** განცხადება საქართველოს საბჭოთა ყრილობის დელეგატების უკანონოდ არჩევის შესახებ უნდა წარედგ ნოს საქართველოს საბჭოთა ყრილობას.

შინაგან საქმეთა სხპ. კომისარი ბ. კვირკელია.

საქმეთა მმართველი ვ. ხახანაშვილი.

1921 წ. დეკემბრის 22.

ტფილისი.

# ინსტრუქცია

საქ. სოც. საბჭ. რესპ. საბჭოთა საარჩევნო კომისიებს.

1.

**ჩისი ცოდნა აუცილებელი ინსტრუქტორებისა და საარჩევნო კომისიათათვის.**

ინსტრუქტორებმა და საარჩევნო კომისიებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ:

1. დებულება არჩევნებისა—გამოქვეყნებული საქართველოს რევკომის მიერ.

2. ვინაიდან საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია უნდა გამოქვეყნდეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობის მიერ, ასეთის უკონლობის გამო, აუცილებელია რუსეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის ცოდნა და მისი ხელმძღვანელობა იმ პრინციპიალურ საკითხების გადაწყვეტის დროს, რომელიც შეიძლება დაისვას ადგილობრივ.

3. საბჭოთა ხელისუფლების პრინციპები და ძირითადი დებულებანი რუსეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციაზე დაყარებით (მიხედვით) განმარტებული და დალაგებული არიან საბჭოთა მე-7 და მე-8 ყრილობათა დადგენილებებში, ამისათვის ინსტრუქტორებმა და საარჩევნო კომისიებმა უნდა იცოდნენ ამ დადგენილებათა ის ნაწილი, რომელიც საბჭოთა აღმშენებლობას შეეხება.

4. ცენტრ. აღმასრ. კომიტ. მიერ გამოცემული მთელი ხელმძღვანელი ლიტერატურა.

5. საბჭოთა ხელისუფლების აღმოცენების ისტორია რუსეთში და საქართველოში.

II.

თემის, საბჭოსა და აღმასრულებელ კომიტეტის არჩევნების წესი.

6. ინსტრუქტორები თემის არჩევნებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად ადგილობრივ ჩასვლისას, უნდა გამოეცხადონ თემის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და გაეცნონ იმ ნამუშავეარს, რომელიც თემის საარჩევნო კომისიის მიერ წინასწარ არის ნაწარმოები.

7. უკეთუ, ინსტრუქტორის თემში მისვლის ხანს კიდევ არ არის შექანილი თემის საარჩევნო კომისია, ინსტრუქტორი ამის შესახებ ცნობას აძლევს სამაზრო რევკომს და სამაზრო საარჩევნო კომისიას, რომელნიც მიიღებენ ზომებს თემის საარჩევნო კომისიის შესაქმნელად.

8. უკეთუ, თემის საარჩევნო კომისიის მიერ არ არის აღნუსხული რიცხვი და პიროვნებანი, რომელთაც აქვთ უფლება აირჩიონ და თვითონაც იქნენ არჩეულნი, ინსტრუქტორი ვალდებულია გაუწიოს დახმარება თემის საარჩევნო კომისიას და შეასრულოს მასთან ერთად საქირო მუშაობა.

9. უკეთუ, საარჩევნო კომისია უკვე შექანილი არის,—ინსტრუქტორი ვალდებულია შეამოწმოს სისწორე აკტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებების მქონე მოქალაქეთა აღნუსხვისა, არის თუ არა შეტანილი სიაში, თუ ის შედგენილია დებულებების თანახმად, საარჩევნო უფლებას მოკლებული პირობები და ან არის თუ არა საერთოდ საჩივრები შედგენილი სიის გამო.

10. თემის საბჭოს არჩევნებში მონაწილეობას იღებს ყველა, ვისაც საარჩევნო უფლება არა აქვს ჩამორთმეული, როგორც სოფლის მუდმივი მცხოვრებნი, აგრეთვე დროებით მცხოვრებელნიც, როგორცაა მაგ. მწყემსები, შემის მჭრელნი, შემის სამხალისზე მომუშავენი და სხვ.) თანახმად დებულებისა.

11. სიების შემოწმების შემდეგ, ინსტრუქტორმა უნდა მოიწვიოს რაოდენიმე წინასწარი საარჩევნო კრებები, რომელზედაც მან უნდა აუხსნას ამომრჩეველთ:

- ა) საბჭოს და აღმასრულებელ კომიტეტში არჩევნების წესი, ბ) საბჭოთა ხელისუფლების ისტორია რუსეთში და საქართველოში, გ) რათა აქვს ზოგ მოქალაქეს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება და ზოგს კი ეს უფლება არა აქვს, დ) არჩევნების მნიშვნელობა, ე) აქამდე რატომ რევკომები არსებობდნენ და ეხლა კი საბჭოები და აღმასრულებელი კომიტეტები აიოჩეიან, ი) რა არის საბჭო და აღმასრულებელი კომიტეტი, კ) საბჭოსა და აღმასრულებელ კომიტეტის შორის ურთიერთი დამოკიდებულება, ლ) საბჭოს და აღმასრულებელ კომიტეტის მოღვაწეობის წრე, მ) თემისა და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს შორის ურთიერთი დამოკიდებულება.



12. თემის საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნებისათვის დანიშნულ დღეს ინსტრუქტორისათვის აუღლებელია დასწრება და თვალყურის დევნება; ესწრება თუ არა კრებას საკმარისი რიცხვი ამომრჩეველთა, სწორად სწარმოებს თუ არა კრება და როგორ არის გადაწყვეტილი უკუსაქცევთა განცხადებანი (განცხადებანი რომელიმე ამომრჩევთათვის, ამა თუ იმ საბუთით, საარჩევნო უფლებების წართმევის შესახებ) და საჩივრები, თუ ასეთებს ქონდათ აღვლილი.

13. სათემო საბჭოები, თანახმად საარჩევნო დებულებისა, შეიქმნიან იმ ანგარიშით, რომ სოფლის მოსახლეობის ყოველ 100 მცხოვრებზე მოდიოდეს 1 დელეგატი. იმ შემთხვევაში, თუ თემის საზღვრებში შედის რამოდენიმე სოფელი, რომელთა ამომრჩეველებს რაიმე მიზეზის გამო (ავტარი, მანძილის სიშორე და სხ.) არ შეუძლიათ არჩევნებზე გამოცხადება, საარჩევნო კომისიის რომელიმე წევრი ან რწმუნებული ინსტრუქტორთან ერთად მიდიან ადგილობრივ და აქ ახდენენ არჩევნებს არსებული ნორმის თანახმად, რის შესახებაც ადგენენ აქმს.

14. ინსტრუქტორებმა და საარჩევნო კომისიებმა თვალყური უნდა ადევნონ, რომ ერთმა და იმავე მოქალაქემ ორჯერ არ მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში.

15. თემის საბჭოს არჩევის შემდეგ, თუ არ არის საჩივრები მისი წესს გარეშე არჩევის შესახებ, დანიშნება მისი პირველი სხდომა, რომელზედაც აირჩევა აღმასრულებელი კომიტეტი რიცხვით არა უმეტეს 5 და არა უმცირეს 3 წევრისა და დელეგატები საბჭოთა სამაზრო ყრილობაზე იმ ანგარიშით, რომ ყოველ 1000 მცხოვრებზე მოდიოდეს 1 დელეგატი.

3.

**როგორ აჩვენებინ ქალაქებისა, დაბებისა, სამრევნო დასახლებულ ადგილებისა და ცალკე გამოყოფილ მხვილ სოფელთა საბჭოები.**

16. ინსტრუქტორებს, იმ ადგილების მცხოვრებთა ჩაოდენობის გამორკვევის დროს, სადაც ქალაქის გამარტივებული ტიპის აღმასრულებელი კომიტეტები შეიქმნიან, (ჩამოთვლილია არჩევნები დებულებებში) მართებთ იხელმძღვანელონ 1917 წლის აღწერით.

17. არჩევნების დებულების თანახმად, დებულებაში ჩამოთვლილი ადმინისტრაციული ერთეულები ქმნიან საბჭოს იმ ანგარიშით, რომ ყოველ 1000 მცხოვრებზე მოდიოდეს თითო დებუტატი მათ მიერ გამომუშავებულ მეტრის მიხედვით. ამის გაგება აუცილებელია იმგვარად: თუ ქალაქში 20000 მცხოვრებია, მაშინ საბჭო შესდგება 20 დებუტატისაგან, მაგრამ ვინაიდან ყველა არ იღებს არჩევნებში მონაწილეობას, არამედ მხოლოდ მშრომელნი, ამიტომ ვგულისხმობთ, რომ ამომრჩეველები იქნებიან 1600 კაცი ქალაქის მოსახლეობის მთელი რიცხვიდან, მაშასადამე საარჩევნო მეტრი იქნება

1600:20—80 ამომრჩეველნი ე. ი. 80 ამომრჩეველზე მოდის საბჭოს 1 დებუტატი.

**საარჩევნო მეტრი ქანაობს მოცემულ დასახლებულ ადგილის მოსახლეობასა და ამომრჩეველთა რიცხვის შორის.**

18. საბჭოს არჩევნების შემდეგ დანიშნება მისი პირველი სხდომა, რომელზედაც აირჩევიან 7 წევრი აღმასრულებელი კომიტეტისა და დელეგატები საბჭოთა სამაზრო ყრილობაზე იმ ანგარიშით, რომ ყოველ 200 ამომრჩეველზე მოდიოდეს 1 დელეგატი, მაშასადამე, შემოთ მოყვანილ მაგალითისამებრ, 1600:100—16 დელეგატი.

IV.

19. სამაზრო საარჩევნო კომისიები დაარსდებიან სამაზრო რეკომის მიერ ხუთი პირისაგან, თანახმად ცენტრალურ საარჩევნო კომისიის დადგენილებისა.

20. სამაზრო საარჩევნო კომისიები ფაქტობრივად არიან: ა) დაარსონ სათემო საარჩევნო კომისიები, ბ) თვალყური ადევნონ მათი მოქმედებათა დროულად დაწყებას და არჩევნების წარმოებას, გ) ხელმძღვანელობა გაუწიონ დაბლა მდგომ კომისიებს და მათ რწმუნებულებს, დ) აცნობონ არჩევნების მიმდინარეობის შესახებ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს, ე) წარუდგინონ ყველა საარჩევნო ნაწარმოები სამაზრო აღმასრ. კომიტეტს. წარუდგინონ სამაზრო აღმასრ. კომიტეტს თემის საარჩევნო კომისიის დაშლისა ან მისი ცალკე წევრის გადაყენების შესახებ, ვ) დანიშნონ თავიანთი წარმომადგენლები თემის საარჩევნო კომისიაში მათი თავმჯდომარის უფლებებით, ზ) განიხილოს თემის საარჩევნო კომისიის მოქმედებათა გამო საჩივრები და პროტესტები, ი) ხელმძღვანელობა გაუწიონ საარჩევნო კომისიებს იმ პუნქტებში, სადაც უნდა შეიქმნეს საქალაქო გამარტივებულ ტიპის აღმასრულებელი კომიტეტი და კ) მოიწვიოს სამაზრო ყრილობები, რომელსაც უკეთებენ მოხსენებას თავისი რედაქციის და არჩევნების შედეგების შესახებ.

V.

**როგორ შეიქმნიან სამაზრო ყრილობები.**

21. სამაზრო ყრილობები, დებულების თანახმად, შესდგებიან იმ ანგარიშით, რომ სოფლის მოსახლეობის ყოველ 1000 მცხოვრებზე ან ქალაქთა და გამოყოფილ საწარმოო დასახლებულ ადგილთა ყოველ 200 ამომრჩეველზე მოდიოდეს 1 დელეგატი.

22. სამაზრო ყრილობაზე არჩეულ დელეგატებს თან უნდა ქონდეს საბჭოთა იმ სხდომის აქ-



მი, რომელზედაც ისინი არჩეულ იქნენ და აგრეთვე მანდატი საბჭოს თავჯდომარის და მდივნის ხელმოწერით.

**შენიშვნა:** ოქოში უნდა იყოს ნაჩვენები მცხოვრებთა ან ამომრჩეველთა რომელ რიცხვიდან არის არჩეული დელეგატთა განსაზღვრული რიცხვი და სახელდობო ვინ.

23. სამაზო ყრილობა აირჩევს აღმასრულებელ კომიტეტს 12 დან 15 კაცამდე.

24. თემის, ქალაქის და საზარო აღმასრულებელი კომიტეტის არჩვის შემდეგ რევკომის შემადგენლობამ უნდა ჩააბაროს ყველა საქვეები. დოკუმენტები, ფულის ნიშნები, ქონებ. და იხვეტარი, სათანადო აღმასრულებელ კომიტეტს, რის შესახებ უნდა შესდგეს განსაკუთრებული აქტი ჩაბარებლის და მიძღების ხეობიწერით. აღნიშნული აქტი შეინახება აღმასრულებელ კომიტეტის საქმეებში.

VI.

**ამომრჩევლებს აქვთ უფლება ყოველ დროს გამოიწვიონ უკანვე მათ მიერ არჩეული დეპუტატი.**

25. ამომრჩეველთ, რომელთაც გავზავნეს თემის თუ ქალაქის საბჭოში დეპუტატი, აქვთ უფლება ყოველ დროს გამოიწვიონ იგი უკანვე, უკეთუ ამომრჩეველთა უპრაკლესობა წარმოადგენს მოთხოვნას იმა თუ იმ დეპუტატი უკანვე გამოწვევის შესახებ, მაშნ საბჭო ვალდებულია მოიწვიოს ამავე საბჭოს ამომრჩეველთა სერთო კრება. კრების უმრავლესობის დადაენილებით დეპუტატი საბჭოდან გასულიად ჩათვლება.

26. თემის ან ქალაქის საბჭოს გამოქვს დადგენილება თავის შემადგენლობიდან დეპუტატის გასვლის შესახებ მათ რწმუ ებულებათა ვად ს დამთარებაზე: ა) იმ შემთხვევაში, თუ დეპუტატი არ წარმოუდგინა ანგარიში თავის ამომრჩევლებს ან არ შეასრულა საბჭოს მიერ მისდამი დაკისრებული დავალება.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ დეპუტატი მისჯილ იქნება ისეთ დანაშაულისათვის, რომელიც მას ართმევს საბჭოს წევრად ყოფნის უფლებას, თანახმად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კანონებსა.

27. რწუნებულების ვადის დამთავრებამდე, საბჭოს შემადგენლობიდან გასულ დეპუტატს შესცვლის საბჭოს წევრების კანდიდატი.

VII.

28. ცენტრალური საარჩევნო კომისია ხელმძღვანელობას უწევს არჩევნის მთელს საქართველოში და უკეთებს მონხეებას თავის მოღაწეობისა და მთელს საქართველოში არჩევნების შედეგების შესახებ სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობას.

VIII.

29. სრულიად საქართველოს ყრილობა შენდგება სამაზოო ყრილობათა, და თავს ზოგადეზს, უშუალოდ წარმგზავნელ ორი ქალაქის— რფილისა და ფოთის, დელეგატთაგან იმ ანგარიშით რომ სოფლის მოსახლეობის ყოველ 1000 მცხოვრებაზე და იმ ქალაქისა და საწარმოო დასახლებულ აჯიოებისა, რომელნიც ბუშათა წარმომადგენლობის პრინციპის იხვედვით აირჩვიან— ყოველ 2000 ამომრჩეველზე მოდიოდეს 1 დელეგატი.

მაგლითად—თუ დაუშვით, რომ მაზრაში არის სოფლის მოსახლეობის 200,000 მცხოვრები და სამაზრო და მაზრის ფარგლებში მდებარე ქალაქებისა და საწარმოო პუნქტების 8000 ამომრჩეველი, სრულიად საქართველოს ყრილობაზე სამაზოო ყრილობას მიერ აირჩვიან 20 დელეგატი სოფლის მოსახლეობისა და 4 დელეგატი სამაზრო და მაზრის ფარგლებში მდებარე ქალაქებიდან და საწარმოო პუნქტებიდან—სულ 24 დელეგატი.

30. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტს და სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე დელეგატების აჩევის შესახებ იწერება ოქმები, რომე ნიც გადაეგზავნება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიერ კალის გამოკლებთ. რომელიც უნდა დარჩეს აღმასრულებელ კომიტეტის საქმეებში.

31. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე არჩეულ დელეგატებს თან უნდა ქონდეს სამაზრო ყრილობის ოქი, მათი არჩევის შესახებ, სადაც უნდა იყოს ნაჩვენები მათი ამომრჩეველ მოსახლეობის და ამომრჩეველთა რიცხვი.

**შენიშვნა:** იმ კეტები და ოქმები უნდა იქნეს შექონებული თავჯდომარის და მდივნის ხელმოწერით და სათანადო ბეჭდს დასმით.

32. ინსტრუქტორები აწ რომე ენ დლიურს და ჩააბარებენ თავიანთ მოგზაურობის ანგარიშს ცენტრალურ საარჩევნო კომისას.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საბჭოების მოწვევის ცენტრალური საარჩევნო კომისია.

შინ. საქ. სახ. კომისარიატი

დადგენილება

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შურნალ „ზოამბეზე“ 1922 წლის 1 იანვრიდან ფასის დაწესებისა და ფასის განცხადებების დაბეჭდვის შესახებ.

1) შიწყეტრლ იქნას 1922 წლის 1 იანვრიდან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შურნალ „ზოამბი“-ს სახელმწიფო და საზო-



გადო დაწესებულებათათვის უფასოდ გზავნა.  
2) დაწესებულ იქმნას 1922 წლის 1 იანვრიდან  
ქურნალ „მოამბე“-ზე სათანადო ფასი.

**შენიშვნა:** ქურნალის ფასი შემდეგ იქ-  
ნება გამოცხადებული.

3) ყოველი მოქალაქე ვალდებულია განცხა-  
დება ყოველგვარ დოკუმენტის დაკარგვის შესახებ  
მოათავსოს ქურნალ „მოამბე“-ში.

**შენიშვნა:** ქურნალ „მოამბე“-ში აგრე-  
თვე მიიღება დასაბეჭდად სახელმწიფო ორგა-  
ნოების და კერძო პირთა განცხადებანი.

4) ქურნალის წმინდა შემოსავლის ერთი ნა-  
ხევარი გადაიდოს სახელმწიფო სალაროს სასარგებ-  
ლოდ და მეორე ნახევარი მოხმარდეს თანამშრომე-  
ლთა შრომის ნაყოფიერების აწევას.

5) ყოველი სახელმწიფოებრივი და საზოგა-  
დოებრივი დაწესებულება ვალდებულია აცნობოს  
რედაქციას, თუ რამდენ ცალ ქურნალს საჭიროებს

შინაგან საქმეთა სახალხო

კომისარი ბ. კვიციანი.

საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყ.

ვაგე დ. ლაშაშიძე.

### შირკულიარულად

ყველა მაზრის, ქალაქისა და ოლქის მილიციის  
უფროსთ

გაუწყებთ სახელმძღვანელოდ და მტკიცედ  
შესასრ-ლებლად, რომ ს. ს. ს. რევოლიუციო-  
ნურ კომიტეტის მიერ 3 დეკემბერს დამტკიცებულ  
მუშა-გლებთა მილიციის შესახებ დებულების თა-  
ნახმად სისხლის სამართლის კვლევადიების ცენტრა-  
ლურ განყოფილების უფროსის დაუდასტურებლად  
გეკრძალებათ ადგილობრივ მაზრაში, ქალაქში ან  
რაიონში სისხლის სამართლის მაძიებელ მილიციის  
მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნა.

რესპუბლიკის მილიციის უფროსი— რატიშვილი.

პოლიტკომი ი. იოვიძე.

მთავარ სამმართველოს უფროსი ფურცელაძე.

ტფილისი, 21 დეკემბერი, 1921 წ.

## იუსტიციის სახ. კომისარიატი

მიღებულია იუსტიციის სახ.  
კომისარიატის კოლეგიის მიერ  
1921 წ. ოქტომბრის 5-ს.

**ს. ს. ს. რ. სისხლის სამართლის სახელმძღვანე-  
ლო დებულებანი.**

### 1. სისხლის სამართალი.

1. სამართალი არის საზოგადოებრივი ურთი-  
ერთობის სისტემა, რომელიც შეეფერება გაბატო-  
ნებულ კლასის ინტერესებს და რომელსაც იცავს მი-  
სი მოწყობილი ძალა.

2. სისხლის სამართალს თავის შინაარსად აქვს  
უფლებრივი ნორმები და ღონისძიებანი, რომლები-  
თაც არსებული კლასობრივ საზოგადოებრივი წყო-  
ბილება რეგრესიის (სასჯელის) საშუალებით დაცუ-  
ლია დარღვევისაგან (დანაშაულისაგან).

3. საბჭოთა სისხლის სამართალს მიზნათ აქვს  
რეგრესიის საშუალებით დაცვას საბჭოთა საზოგა-  
დოებრივი ურთიერთობის წყობილება.

### 2. სისხლის სამართლის მართლ-მსაჯულება.

4. საქარაველოს ს. ს. რესპუბლიკაში სისხ-  
ლის სამართალს ანხორციელებს საბჭოთა მართლ-  
მსაჯულების ორგანოები (სახალხო სასამართლო და  
რევოლიუციური ტრიბუნალი).

### 3. დანაშაული და სასჯელი

5. დანაშაული არის სისხლის სამართლით და-  
ცული საზოგადოებრივი წეს-წყობილების დარღ-  
ვევა.


6. დანაშაული, მოქმედების თუ უმოქმედობის  
სახით, როგორც საზოგადოებრივ წყობილებისათ-  
ვის საფრთხე მოვლენა, აიძულებს სახელმწიფო ხე-  
ლისუფლებას იბრძოლოს ამნაირ მოქმედების ან  
უმოქმედობის ჩამდენთა (დამნაშავეთა) წინააღმდეგ.

7. სასჯელი ისეთი იძულებითი ღონისძიებაა,  
რომლის საშუალებითაც ხელისუფლება უზრუნველ-  
ყოფს საზოგადოებრივ წეს-წყობილებას მის დამ-  
რღვევაგან (დამნაშავეთაგან).

8. სასჯელის მიზნათ დასახულია საზოგადოე-  
ბრივ წეს-წყობილების დაცვა თანაშაულის ჩამდენ-  
თა ან მისი ჩადენის მცდელობაგან, აგრეთვე მომა-  
ვალში შესაძლებელ დანაშაულთაგან, რომელიც  
შეიძლება ჩადენილ იქმნას ან ამ ან სხვა პირის  
მიერ.

9. საზოგადოებრივ წეს-წყობილების უზრუნ-  
ველყოფა იმ პირის მომავალ დანაშაულისაგან, რო-  
მელსაც დანაშაული უკვე ჩაუდენია, შეიძლება მიღ-  
წეულ იქმნას ან იმით, რომ იგი შეეგუონ არსებულ





წეს-წყობილებას, ან თუ იგი ვერ ეგუება, მისი გან-  
ცალკევებით, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში მისი  
ფიზიკურად მოსპობით.

10. სასჯელის არჩევის დროს მხედველობაში  
ის უნდა იყოს მიღებული, რომ დანაშაულის ჩადე-  
ნას კლასობრივ საზოგადოებაში იწვევს ის საზო-  
გადოებრივი წყობილება, რომელშიაც დამნაშავე  
ცხოვრობს. ამიტომ სასჯელი არც „ბრალის“ სამა-  
გიეროს მიზლდაა, არც მისი გამოსყიდვა. სასჯელი  
თავდაცვის ღონისძიებაა და როგორც ასეთი, მიზან-  
შეწონილი და გვემა-წვალების ხასიათს სრულებით  
მოკლებული უნდა იყოს და არ უნდა იწვევდეს  
დამნაშავესათვის უსარგებლო და ზედმეტ ტანჯვას.

11. დანაშაულის ჩამდენისთვის ზემოქმე-  
დის ზომის განსაზღვრის დროს, სასამართ-  
ლომ უნდა ასწონ-დასწონოს, როგორც თვით დამ-  
ნაშავეს მიერ შექმნილი, ისე ნისი საქციელისაგან  
წარმომდგარი საფრთხე საზოგადოებისათვის. სასა-  
მართლო ამ აზრით: 1) ჩადენილ დანაშაულის ყვე-  
ლა თანამდევ გარემოების შესწავლის გარდა, არკ-  
ვევს დამნაშავეს პიროვნებას, რამდენადაც იგი გა-  
მოხატა ჩადენილ საქციელში, აგრეთვე მასში, თუ  
რამ ჩადენინა იგი, და რამდენად ამ პიროვნების  
გამორკვევა—გაცნობა შესაძლებელია დამნაშავეს  
წარსულ ცხოვრებისა და ყოფა-ქცევიდან, და 2)  
სწყვეტს საკითხს, თუ ეს მოქმედება რამდენად უქა-  
დის საფრთხეს საზოგადოებას არსებულ პირობებში.

12. სასჯელის სახის და ზომის მიჩენის დროს  
გარჩეულ უნდა იქმნას ყოველ ცალკე შემთხვევაში:  
ა) ჩადენილია დანაშაული შეძლებული კლასის პი-  
რის მიერ იმ განზრახვით, რომ აღედგინა, შეენარ-  
ჩუნებინა ან შეეძინა საკუთრების უფლებასთან და-  
კავშირებული რაიმე უპირატესობა, თუ ხელმოკლეს  
მიერ შიმშილისა და გაჭირვების დროს; ბ) ჩა-  
დენილია დანაშაული ძველი წეს-წყობილობის აღ-  
სადგენად, თუ დანაშაულის ჩამდენის პირად ინტე-  
რესების სასარგებლოდ; გ) ჩადენილია დანაშაული  
მიყენებულ ვნების წინასწარ შეგნებით, თუ უვი-  
ცობით და შეუგნებლობით; დ) ჩადენილია დანა-  
შაული პროფესიონალურ დამნაშავეს (რეციდივის-  
ტის) მიერ, თუ ისეთი პირის მიერ, რომელსაც იგი  
პირველად ჩაუდენია; ე) ჩადენილია დანაშაული  
ჯგუფის, ბრძოს, ბანდისა, თუ ერთი პირის მიერ;  
ვ) ჩადენილია დანაშაული პიროვნებას მიმართ ძალ-  
მომრეობის საშუალებით, თუ ასეთ ძალმომრეობას  
აღვლილი არა ჰქონია; ზ) მამართულია დანაშაული  
პიროვნების, თუ ქონების წინააღმდეგ; ც) ჩადენი-  
ლია დანაშაული წინასწარ მოფიქრებით, სისასტი-  
კით, ბოროტი გრძნობით, ვერაგობით, ხერხით,  
თუ გულფიცობით, სიმჩატით ან დაუდევრობით.

13. უწლოვანნი 14 წლამდე სამართალში არ  
მიეცევიან და მათ არც სასჯელი გადახ ავებათ. მათ  
მიმართ აღმზღველობითი ზომები უნდა იქმნას მი-  
ღებული (შეგუება). საქმეები გარდამავალ პასაკის  
14—18 წლიანებისა უნდა აწარმოოს და გადასწყ-  
ვიტოს საზოგადო სასამართლომ, თუ ასეთი საქ-

მეები მას გადაეცა უწლოვანთა საქმეების კომისი-  
ის მიერ.

14. სამართალში არ მიეცევიან და არც სას-  
ჯელი დაედებათ იმ პირთ, რომელთაც დანაშაული  
სულით ავადმყოფობის დროს ან, საზოგადოთ, იმ  
მდგომარეობაში ჩაუდენიათ, როდესაც თავიანთ მო-  
ქმედებას ანგარიშს ვერ გაუწევდნენ, აგრეთვე იმათ,  
რომელთაც, თუმცა სულიერ სწორზომიერების  
დროს უმოქმედნიათ, მაგრამ განაჩენის აღსრულე-  
ბის დროსთვის სულით ავადმყოფობაში ჩავარდნი-  
ლან. ამ პირთათვის მხოლოდ სამკურნალო და გა-  
მაფრთხილებელი ღონისძიებანია მოსახმარებელი.

15. საკითხი სამართალში მიცემულის სულით  
ავადმყოფობის შესახებ, იმის გამოსარკვევათ, ჩე-  
თვალოს თუ არა მას ნამოქმედარი ბრალად, სწყდე-  
ბა სასამართლოს სხდომაზე ექიმ-ექსპერტთა დახმა-  
რებით. ამასთან, თუ ექიმ ექსპერტებს ავადმყოფო-  
ბის წინასწარ გამოუცდელად უქმნოდებათ გადაქ-  
რილი დასკვნის მიცემა, იგი, ავადმყოფი მოთავსე-  
ბულ უნდა იქმნას სულით ავადმყოფთა ერთ-ერთ  
სამკურნალოში განსაზღვრული ვადით, რის შემ-  
დიგაც საქმე ხელ-ახლა განიხილება სასამართლო  
სხდომაზე.

16. სამართალში მიცემულის სასამართლო  
სხდომაზე შემოწმების შემდეგ, სასამართლო, მოის-  
ვენს რა ექიმ-ექსპერტების დასკვნას, ადგენს ან მოს-  
პოს სისხლის სამართლით დევნა, თუ აღმოჩნდა,  
რომ გასასამართლებელს სულით ავადმყოფობის იმ  
მდგომარეობაში უმოქმედნია, როცა იგი თავის მო-  
ქმედებას ანგარიშს ვერ გაუწევდა ან თუ აღმოჩნ-  
და, რომ სამართალში მიცემული ჯანმრთელია, სა-  
სამართლო მას სასჯელს გადაუწყვეტს.

შენიშვნა: სასამართლო მას შემდეგ, რო-  
დესაც გადასწყვეტს მოსპოს ბრალდებულის  
სისხლის სამართლის წესით დევნა, ამასთან  
ერთად მოისმენს რა ექსპერტების დასკვნას,  
ადგენს—ავადმყოფი მოთავსებულ იქმნეს სა-  
გოეთში, ან გადაეცეს იგი მოსავლელად მშო-  
ბლებს, მეურვეებს, ან მათის თანხმობით, გა-  
რეშე პირებს, იმ პირობით-კი, რომ ბეჯითად  
იზრუნონ მასზე ავადმყოფობის და მკურნა-  
ლობის დროს.

17. თუ სამართალში მიცემული სულით ავად-  
მყოფობაში ჩავარდა დანაშაულის ჩადენის შემდეგ,  
მაგრამ საქმის გარჩევაამდე, ან და განაჩენის გამო-  
ტანის შემდეგ, ხოლო მის აღსრულებაში მოყვანამ-  
დე, სასამართლო იმავე წესით ადგენს, ავადმყოფის  
განკურნებაამდე შეჩერდეს: პირველ შემთხვევაში  
საქმის არსებითად განხილვა, მეორე შემთხვევაში  
კი—განაჩენის აღსრულება, და მიღებული იქნეს გა-  
მოძიებისა და სასამართლოსაგან თავის დაღწევის  
საშუალებათა საჭირო აღმკვეცი ზომები.

შენიშვნა: ბრალდებულთა ქუთა-გონების  
შემოწმების წესი წინასწარ გამოძიების დროს  
განისაზღვრება სახალხო გამოძიებელთათვის  
გამოცემულ ინსტრუქციით.



18. სასჯელი არ გაუჩნდება იმასაც, ვინც თავდასხველის პირადობის წინააღმდეგ ძალას მიჰმართავს, თუ ეს ძალადობა შექმნილ პირობებში აუცილებელი საშუალება იყო თავდასხმის მოსაგერებლად, ან ძალმომრეობისაგან საკუთარ ან სხვისი პიროვნების დასაცავლად, და თუ ეს ძალადობა აუცილებელ თავდაცვის ზომას არ გადასცილება.

19. თუ გნვლის იმ პირობებში, რომლებშიაც განსაზღვრული მოქმედება ან მისი ჩამდენი პირი არსებულ წეს-წყობილებისათვის საფრთხეს წარმოადგენდა, მაშინ ხენებელი პირი ამ მოქმედებისათვის არ დაისჯება.

**5. დანაშაულს განხორციელების საფეხური.**

20. დანაშაული დამთარებულად ითვლება, როცა მისი ჩადენის განზრახვა სავსებით განხორციელებულია.

21. დანაშაულის ჩადენის შეკადრებად ითვლება მისი მისაოწივად მიმართული მოქმედება, როდესაც ჩამდინს მთლად შეუსრულებია ის, რაც საქროდ მიაჩნდა თავის განზრახვას სისრულეში მოსაყვანად, მაგრამ ამას სადანაშაულო შედეგი არ მოჰყოლია ჩამდენისაგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო.

22. დანაშაულის მზადებად ითვლება მის ჩასადენათ მომზადების მიერ საშუალებათა, იარაღის და სხვ. მოძებნა თუ შეძენა ან მათი მოპარჯება.

23. დანაშაულის ჩამდენის განზრახვის განხორციელების საფეხური გააღენას ახდენს სასჯელის ზომაზე იმ საფრთხის მიხედვით, რომელსაც წარმოადგენს თვით დამნაშავე ან სადანაშაულო განზრახვის განმხორციელებელი მოქმედება.

**5. თანამონაწილეობა.**

24. იმ მოქმედებისათვის, რომელსაც რამდენიმე პირი ან მთელი ჯგუფი (ბანდა, ბრბო) თანაზიარად ჩადენს, დაისჯებიან, როგორც აღმასრულებელი, ისე წამქეზებელი და დამხმარენი. აღნიშნულ მონაწილეთათვის სასჯელი განისაზღვრება იმას მიხედვით, თუ ყოველ მათგანს რა მონაწილეობა მიუღია დანაშაულის ჩადენაში და რამდენად საფრთხეს წარმოადგენს დამნაშავე და მისი მოქმედება.

25. აღმასრულებლად ის ითვლება, ვინც დანაშაულის შესრულებაში მონაწილეობას იღებს, რაშიაც ეს მონაწილეობა არ უნდა გამოიხატებოდეს.

26. წამქეზებლად ის ითვლება, რომელიც სხვებს გადაიბირებს დანაშაულის ჩასადენად.

27. დამხმარე ის არის, ვინც დანაშაულის აღსრულებაში პირდაპირ მონაწილეობას იღებს, მაგრამ დანაშაულის ჩადენას ხელს უწყობს სიტყვით,

საქმით, რჩევის მიცემით, დაზიანებით, დაბრკოლებათა აცილებით, თვით დამნაშავის ან დანაშაულის კვალის დაფარვით ან მიმშვეებლობით და ა. შ. დანაშაულის აღსრულებას ხელს არა შეუშლის.

28. სასჯელი იმ პირთაც უნდა გადახდეთ, რომელთაც, იცოდნენ რა უკვე ჩადენილი დანაშაული, არ შეიასრულეს ის მოვალეობა, რომელსაც მათ კანონი აკ სრებს—არ აცნობეს ეს ხელისუფლებას.

**6. სასჯელთა სახეები.**

29. იმ მიზნით, რომ საზოგადოებრივი წესწყობილება დაკულ იქნეს დარღვევისაგან—ერთის მხრით, და რომ დამნაშავის პირადი ტანჯვა რაც შეიძლება შემცირებულ იქნეს—მეორე მხრით, სასჯელი უნდა იყოს სხვადასხვანაირი ყოველ კერძო შემთხვევის თავისებურობისა და დამნაშავის პიროვნების მიხედვით.

**სასჯელთა სახეები შემდეგია:**

- ა) შთავგონება,
- ბ) საზოგადოებრივი გაკიცხვის გამოცხადება,
- გ) ისეთი მოქმედების იძულებით შესრულება, რასაც ფიზიკური შევიწროვება არ ახლავს (მაგად. ამა თუ იმ სასწავლო კურსის შესრულება,
- დ) ბოიკოტის გამოცხადება,
- ე) შენაერთებიდან გამორიცხვა დროებით ან სამუდამოდ,
- ვ) თანამდებობის ჩამორთმევა,
- ზ) ამა თუ იმ თანამდებობის დაქვრის ან ამა თუ იმ სამუშაოს აღსრულების აკრძალვა,
- ც) მთელი ქონების ან მისი ნაწილის კონფისკაცია,
- თ) პოლიტიკურ უფლებათა ახდა,
- ი) რევოლიუციის ან ხალხის მტრად აღიარება
- კ) საზოგადოებრივი ან სპეციალობის დავარი იძულებითი ძუშაობა არა ჯმეტის 5 წლის ვადისა და დაუპატიმრებლად,
- ლ) თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს 5 წლის ვადისა, მეტის თუ ნაკლიბის იზოლიაციით,
- მ) კანონის გარეშედ დაყენება,
- ნ) დახვრეტა.
- ა) სასჯელთა ზემონაჩვენებ სახეთა შეერთება,

**შენიშვნა: 1.** სახალხო სასამართლო სიკვდილით არა სჯის.

**შენიშვნა: 2.** ამა თუ იმ განაჩენის გამოტანისათანავე, სასამართლო რომელიც საქმეს არსებითად არჩევს, სწყვიტს სასამართლო გამოძიების დამთავრებადგ განცხადებულ სამოქალაქო სარჩელსაც, ხოლო, თუ ეს უკანასკნელი რთულია, არჩევს მას სისხლის სამართლის ბოაღდების შესახებ განაჩენის გამოტანის შემდეგ.



შენიშვნა: მ. „კ“ და „ლ“ პუნქტებში ნაჩვენებ სასჯელთა გადაწყვიტის დროს სასამართლო ვალდებულია აღნიშნოს განაჩენში რა სახის იძულებითი მუშაობა მიესაჯა ბრალდებულს, და ხომ არ არის იგი განსაკუთრებული შეტის ან ნაკლების სიმკაცრით.

მშ. ს.თ.ო. (პირობითი) მსჯავრის გადაწყვეტის წესი გათვალისწინებულია განსაკუთრებულ დებულებით.

მშ. საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სისხლის სამართალი რესპუბლიკის მთელ სივრცეზე მოქმედობს, როგორც მის მოქალაქეთა, ისე მის მიწა წყალზე დანაშაულის ჩამდენ უცხო ქვეყნელთა მიმართ, იმ პირობა გარდა, რომელნიც ჩვეულებრივ ან საგანგებო საელოჩოებს ან მისიებს ეკუთვნიან, აგრეთვე უცხო ქვეყნის არმიისა და ფლოტის სამხედრო პირთა, რომელნიც მსახურობენ საქართველოს მიწა-წყალზედ მყოფ უცხო ქვეყნის ჯარის მთელ ნაწილებში და სამხედრო გემებზე, ამ პირობათვის განსაკუთრებული წესი მყარდება სათანადო სახელმწიფოსთან შეთანხმებით.

## შრომის სახ. კომისარიატი.

### დადგენილება

#### უმუშევართა რეგისტრაციის შესახებ.

შრომის ბაზრის მოსაწესრიგებლად და მუშათა შორის უმუშევართა საერთო რიცხვის გამოსარკვევად, შრომის სახალხო კომისარიატმა დაადგინა:

1. შრომის ყველა განყოფილებამ 1922 წლის 1-ლ იანვრიდან დაწყებული ორი კვირის განმავლობაში მოახდინოს უმუშევართა რეგისტრაცია საქართველოს რესპუბლიკის შემდეგ ქალაქებსა და დაბებში: ტფილისსა, ქუთაისსა, ბათუმსა, ფოთსა, გორსა, დუშეთსა, თიანეთსა, თელავსა, სიღნაღსა, ახალციხესა, ახალქალაქსა, ეკატერინეფოლდსა, ბორჯომსა, ზესტაფონსა, კიათურასა, ოზურგეთსა, ახალსენაკსა, ზუგდიდსა, ცაგერსა, ონსა, და სამტრედიისაში.

2. რეგისტრაციაში გატარებულ უნდა იქმნას დამოუკიდებელი ყველა უმუშევარი ვინც კი მუშაოს დაეძებს.

შენიშვნა: სარეგისტრაციოდ გამოცხადებულ სავალდებულოა იმ უმუშევართათვისაც, რომელნიც ამ ეპოქად შრომის განყოფილებათა მიერ აღრიცხულნი არიან.

მ. ქალაქ ტფილისში მცხოვრებნი უმუშევარნი სარეგისტრაციოდ უნდა გამოცხადდნენ მუშახელის აღრიცხვის ტფილისის განყოფილებაში (ოუსთაველის პრ. № 19, ქვედასართული) 2-დან

15 იანვრამდე, დანარჩენ ქალაქებსა და დაბებში შრომის აღკვეთილად განყოფილებებში.

4. სარეგისტრაციოდ გამოცხადებულნი უნდა შექმნდნენ პირადობის შემამოწმებელი საბუთი რომელზედაც აღმრიცხველნი, აღნიშნავენ, რომ უმუშევარი რეგისტრაციაზე გამოცხადდა.

5. უმუშევართა აღრიცხვისთვის გამოყენებულ უნდა იქმნას ვგრედ-წოდებული „პროფესიონალური ბაზათები“, რომელიც იხმარება სამუშაოს მაძიებელთა ჩვეულებრივი აღრიცხვის დროს.

შენიშვნა: იმ უმუშევართა ბაზათებში, რომელთაც შტატების შემოკლების გამო დაპყარგეს ადგილი, კითხვაზე როდის დასტოვა უკანასკნელი ადგილი და რა მიზეზით უნდა ჩაიწეოს „შტატების შემოკლების გამო.“ ასეთ უმუშევართა შესახებ ცალკე ანგარიში უნდა იქმნას გაწეული.

6. რეგისტრაციის შედეგის შესახებ შრომის განყოფილებები ადგენენ დაწერილებითი ანგარიშს „თვიურ უწყებების“ ბლანკებზე და ანგარიშებს უდგენენ შრომის სახალხო კომისარიატსა არა უგვიანეს 1922 წლის 20 იანვრისა.

7. ეს დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან.

შრომის სახალხო კომისარის მოადგილე  
ა. მიქაძე.  
საქმეთა მმართველი მ. ბერძნიშვილი.  
მუშახელის აღრ.-განაწ. განყ. გამგე  
ა. კუოაელი.

## მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი

### ინსტრუქცია

ქართულ ცალკე შეერთებულ ბრიგადის და მუშათა და გლეხთა ინსპექციისადმი.

მუხ. 1. ქართულ ცალკე შეერთებულ ბრიგადის ინსპექციის მართვა-გამგეობის საგახს შეადგენს:

ა) განხილვა კანონიერების, წესიერების და სარფიანობის მხრივ, ბრიგადის საგანგებო ხარჯთ აღრიცხვისა, დასაძაღებელ ფასებისა და შეფასებისა, სამუშაოთა, დამზადება-ჩაბარებათა და სხვ. პროექტებისა და ყველა ამ საგანთა შესახებ თვისი დასკვნის მიცემა.

ბ) ფაქტიურად ამოწმებს ფულისა და ნივთიერ თანხების ტოილის სინაღდესა, სააღმუშაოლო სამუშაოთა და ბრიგადის გამგეობის მიერ ნაწარმოებ



სხვაგვარ სამეურნეო ოპერაციათა ნამდვილად შესრულებას.

გ) თვალყურს ადევნებს, რომ სამმართველოებმა და ნაწილებმა დროულად აგზავნონ ანგარიშები სარევიზიოდ და

დ) აწარმოებს ბრიგადაზე გაწეულ ყოველ დანახარჯის შემდგომ რევიზიას.

მუხ. 2. 1-ლ მუხლში აღნიშნულ შემთხვევებში ინსპექცია ხელმძღვანელობს მუშათა და გლეხთა ინსპექციის იმ წესებით რომლებიც ენება წინასწარ და ფაქტიურ რევიზიის წარმოებას და დამტკიცებულია 1921 წ. 28 ნომერს.

მუხ. 3. ინსპექცია შედის ს. ს. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის შემადგენლობაში, ექვემდებარება სახალხო კომისარს და თავის სპეციალურ სამსახურში ასრულებს ყოველ მის განკარგულებას და ბრძანებას (1921 წ. 27 აპრილის დებულება მუშათა და გლეხთა ინსპექციის შესახებ).

მუხ. 4. როდესაც თავის თაოსნობით ინსპექცია აწარმოებს ფაქტიურ შემოწმებას და საინსპექციო-სარევიზიო მოქმედებას, იგი ვალდებულია ან ნაწილში შეასრულოს აგრეთვე ბრიგადის უფროსის დავალება იმ მიზნით, რომ მან შემწეობა აღმოუჩინოს ბრიგადის ფულის და ნივთიერ საშუალებათა წესიერად მოხმარების მეთვალყურეობაში.

მუხ. 5. მე-4 მუხლში აღნიშნულ დავალებათა შესრულების შესახებ ბრიგადის ინსპექციის უფროსი მოხსენებას უდგენს ბრიგადის უფროსს, შემოწმებათა აქტების ასლთა წარდგენით.

აგრეთვე იგი აცნობებს ბრიგადის უფროსს თავის თაოსნობით ნაწარმოებ რევიზიის შედეგების შესახებ (მუხ. 4).

მუხ. 6. თუ ვინიცობაა ფაქტიურ და დოკუმენტალურ შემოწმების დროს აღმოჩნდება, რომ სამეურნეო ოპერაციათა საწარმოებლად არჩეული საშუალებანი და გეგმები, სავაჭრო პირობები და სხვა, ინსპექციის უფროსის აზრით, ნამდვილად არ შეეფერება სახალხო ხაზინის ინტერესებს, იგი ამაზე მოხსენებას უდგენს ბრიგადის უფროსს, რათა მან აღკვეციოს აღმოჩენილი უწყესობანი და გარეწრობანი.

მუხ. 7. ბრიგადის ინსპექციის უფროსი მოხსენებით შედის ბრიგადის უფროსთან, რათა მან გააუქმოს ან შესცვალოს ხაზინიდან ხარჯთა გაღებასთან დაკავშირებული ბრიგადისადმი ისეთი გაცემული განკარგულებანი, რომელთაც იგი უწყსოდ სცნობს (1921 წ. 27 აპრილის დებულება მუხ. 3, 3. ზ.).

მუხ. 8. იმ შემთხვევაში, თუ ბრიგადის უფროსი თანახმა არ იქნება ინსპექციის უფროსის დასკვნისა მე-6 და 7 მუხლებში აღნიშნულ საქმეთა შესახებ, უკანასკნელს უფლება ექვლება თავისი დასკვნა პირდაპირ წარუდგინოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარს.

მუხ. 9. თუ ვინიცობაა რევიზიის დროს აღმოჩნდება რაიმე ბოროტმოქმედება, ბრიგადის ინსპექციის უფროსს ვვალება პასუხისგებაში მისცეს თანამდებობის პირნი და ამასთანავე მოხსენებით შევიდეს ბრიგადის უფროსთან თანამდებობიდან მათ გადაყენებაზე. (1921 წლის 27 აპრილის დებულება მუშათა და გლეხთა ინსპექციის შესახებ, მუხ. 4.)

მუხ. 10. ყოველ იმ შემთხვევების შესახებ, როდესაც თვით ბრიგადის დაწესებულებანი აღიარებენ ხაზინის ინტერესების დარღვევას, აღნიშნული დაწესებულებანი ნიშნავენ ადმინისტრაციულ ან სასამართლო გამოძიებას და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებენ ბრიგადის ინსპექციის უფროსსაც.

მუხ. 11. ქართული ცალკე შეერთებული ბრიგადის ინსპექცია ღებულობს ბრიგადის სამმართველოების უფროსთა და აგრეთვე საბჭოთა იმ ხელისუფლების მქონეთაგან, რომელნიც ბრიგადის რაიონში არიან, ყოველგვარ ცნობებს იმის შესახებ, რომელიც ინსპექციის სპეციალ მოქმედებათა ფარგალს შეეხება.

მუხ. 12. ბრიგადის ინსპექციის სამმართველოსთან არსდება საჩივართა ცალკე ბიურო, რომელიც ღებულობს თხოვნებსა და განცხადებებს თანამდებობის პირთაგან ჩადენით უწყსო მოქმედებისა, ბოროტმოქმედებისა და კანონ დარღვევაზე (1921 წლის 27 აპრილის დებულება, მუ. 3, 3, ვ)

მუხ. 13. ბრიგადის ინსპექციის უფროსი ინსპექციის მოღვაწეობაზე მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარს უდგენს მის მიერ დაწესებულ ვადებში, დრო გამოშვებითა და წლიურს ანგარიშებს.

მუხ. 14. ყოველ სხვა შემთხვევებში, რომელიც ამ ინსტრუქციაში გათვალისწინებული არ არის, ბრიგადის ინსპექციის უფროსი ხელმძღვანელობს ს. ს. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის შესახებ საერთო დებულებით, რომელნიც დამტკიცებულია 1921 წ. 27 აპრილის (დეკრეტი № 30).

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარის მოადგილე პ. საყვარელიძე.


31 დეკემბერი 1921 წ.

### დადგენილება

შრომის სახალხო კომისარიატისა და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს ნორმის მოწესრიგების განყოფილებისა 1921 წლის 8 დეკემბერის თარიღით.

განსავითარებლად და თანახმად № 11 დადგენილებისა (იხ. „პრავდა გრუზიის“ 1921 წლის 4 აპრილის—77 №—ი) შრომის სახალხო კომისარისა





რიატი საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს ნორმის მოწესრიგების განყოფილებასთან შეთანხმებით აღდგენს:

1) მუშა-მოსამსახურეთ, რომელთაც უფლება ჰქონდათ 1921 წელნი სამსახურიდან შევბაში წასვლისა და დაწესებულება-წარმოების ადმინისტრაციის გამოისობით დეკემბრის I-მდე ამით ვერ ისარგებლეს, უნდა მიეცეს სათანადო კომპენსაცია.

2) კომპენსაცია მათ უნდა მიეცეს ალნიშნულ № 11 დადგენილების მესამე მუხლით გათვალისწინებულ რაოდენობით, ე. ი. დეკემბრის სამ წინა თვეში აღებულ ორთაშუა ხელფასის მიხედვით, რომლის გამოთვლის დროს უნდა აღირიცხოს სატარიფო განაკვეთი, ზედმეტი სამუშაოს ხელფასი, საპრემიო ჯ. ლდო და ფულად გადაწყვეტილი შრომის დანარჩენი გასამრჯელო.

3) კომპენსაცია უნდა მიეცეს არა უგვიანეს 1921 წლის დეკემბრის 15-ისა დაწესებულება-წარმოების ან საზოგადო ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და აგრეთვე კერძო წარმოების პატრონთა პასუხის-მგებლობით.

შრომის სახალხო კომისრის  
მოადგილე ა. მიქაძე.

საქ. პროფ. კავ. საბ. ნორმის მოწესრიგ. განყ.  
გამგე ს. ჯუღელი.

კომისარიატის საქმეთა  
მმართველი მ. ბერძნიშვილი.

## ს რ ა - ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი გ ა ნ ე ო ფ ი ლ ე ბ ა

### კომუნალური მეურნეობის მთავარ საგმართველს გაუქმების შესახებ \*)

საბჭოთა ხელისუფლების ოთხი წლის არსებობამ დაგვარწმუნა რომ მართვა გამგეობის სასტემოში ხშირად ერთი და იგივე ფუნქციებით რამდენიმე პარალელური დაწესებულება არსებობს. ასეთი დაწესებულებები ჰქონიან საქმის წარმოებაში დაუშვებელ გაჭიანურებასა და სრულიად მიუღებელ ბიუროკრატიაზს.

ასეთ პარალელურ დაწესებულებებს წარმოადგენს უმაღლესი სამეურნეო საბჭო, თავის პრავალგვარ განყოფილებებით და კომუნალურ მეურნეობის მთავარი სამმართველო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული.

ამ ორ დაწესებულებათა ფუნქციები და მოვალეობანი დღემდის გამოურკვეველია თვით საბჭოთა რუსეთში და მათი შეერთების საკითხი ოთხი წლის განმავლობაში მუდამ სადავო საკითხად იყო გადაქცეული.

თუ ეს კითხვა სადაო იყო აქნობამდის, დღეს ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის შემდეგ განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ გადასწყვიტა რომ ადგილობრივი ორგანოები უნდა არსებობდნენ ადგილობრივ საშუალებებით, სადავო აღარ უნდა იყოს არავისათვის.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა მოითხოვს მეურნეობის და განსაკუთრებით წარმოების აღორძინება—განვითარებას. ამისთვის საჭიროა ის ორ-

განო რომელიც ადგილობრივ მეურნეობას განაგებს, იყოს უფრო პლასტიური, მეტი ინიციატივისა და თვითმოქმედების უნარის მქონე. ამას მოითხოვს მეურნეობის აღდგენისათვის დაწყებული ყოველ დღიური საქმიანობა. იმ ორგანოს, რომელიც განაგებს ადგილობრივ მეურნეობას, ვერ შეხლუნდა ვერც განსაკუთრებული შტატებით და ვერც ცირკულიარებით აიძულებთ ამა თუ იმ წარმოების მოწყობას, იქ სადაც ასეთი წარმოების მოწყობა ადგილობრივ სობიექტიური პირობების გამო შეუძლებელია. ამიტომ ადგილობრივ ორგანოს უფლება უნდა მიეცეს გააკეთოს მეურნეობას ასალორძინებლად ის, ოის გაკეთებაც მას შეუძლიან პირობების მიხედვით. ეს კი დამოკიდებულია ადგილობრივ ორგანოს ინიციატივასა და თვითმოქმედებაზე.

აქამდის სხვა მდგომარეობა იყო, აქამდის ადგილობრივ ორგანოს რისიმე გაკეთების სურვილიც რომ ჰქონოდა, ეს სურვილი განხორციელდებოდა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მას დადასტურებდა უმაღლესი მთავრობა და ამისათვის საჭირო თანხას გაიღებდა. დღეს კი სულ სხვა მდგომარეობაა, დღეს ადგილობრივ ორგანოს თავისი სურვილის განხორციელება შეუძლიან თავისივე საშუალებებით და იგი სხვის ხელის შემყურე აღარ არის.

აქედან დასკვნა ერთია, უნდა შემცირდეს ის ობეკა, რომელიც აქამდის არსებობდა.

ადგილობრივ ორგანოთა კომუნალურ მეურნეობის ობეკუნათ აქამდის ითვლებოდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, რომლის ნებადართვლად და სათანადო თანხის გაუღებლად კომუნალურ განყოფილებას არაფრის გაკეთება არ შეუძლია.

\*) სადისკუსიო. რედ.



მაგრამ ოპიკის მოსპობა არ ნიშნავს სახელმწიფოს ცენტრალურ დაწესებულებების ადგილობრივ მეურნეობისაგან სრულიად ჩამოშორებას.

უპირველეს ყოვლისა ცენტრალური დაწესებულება მოვალეა ხელი შეუწყოს, ადგილობრივ მეურნეობის განვითარება აღმოძინებას. აქედან თავისთავად გამომდინარეობს ის პრაქტიკული ვალდებულებანი, რომლებიც აწევს ცენტრალურ სამართველოს ადგილობრივ მეურნეობაში. სახელმძღვანელოა:

- 1) მან უნდა გაუწიოს იდეური ხელმძღვანელობა,
- 2) მიაწოდოს საჭირო მასალა,
- 3) დაეხმაროს ტექნიკური ძალებით.

რასი უნდა გამოხატოს იდეური ხელმძღვანელობა ცენტრალური მთავრობისა და ვინ უნდა იყოს ამ მოვალეობის მატარებელი?

იდეური ხელმძღვანელობა ფაქტიურად გამოიხატება უპირველეს ყოვლისა საზოგადო საჭიროების საჯაროდ აღსარებაში და მის ცხოვრებაში გასატარებლად ტექნიკურ საშუალებათა მითითებაში.

მეორე ადგილობრივ ორგანოთა დადგენილებების და გადაწყვეტილებათა თვალყურის დევნებაში კანონიერების და მიზანშეწონილობის ძივ. პარველიც და მეორეც უნდა დაეკისროს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, როგორც საზოგადო საჭიროებათა ყველაზე უკეთ მცოდნეს და დებულებით ვალდებულს—თვალყური ადევნოს ადგილობრივ ორგანოების მოღვაწეობას კანონიერების და მიზანშეწონილობის მარცხ.

იდეურ ხელმძღვანელობის პირველ შემთხვევას შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი განახორციელებს ცირკულიარების და ბრძანებებს გამოცემთ,—მეორე შემთხვევას კი ადგილობრივ ორგანოების წლიურ ხარჯთ აღრიცხვის განხილვით და მისი შეპოკლების ან გადიდების შეტანის უფლებით.

ადგილობრივი ორგანო უნდა არსებობდეს მხოლოდ ადგილობრივ საშუალებებით (გადასახადებით, და წარმოებათა შემოსავლით).

მაშასადამე იგი ვალდებულია აღწესდოს წლიური შემოსავალი და მისი დანიშნულება—გასავალი. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ვალდებული იქნება განიხილოს ხარჯთ-აღრიცხვა—მისი შემოსავალი კანონიერების მხრივ და თუ აღმოაჩინოს კანონით დაუდასტურებელ გადასახადს, სრულიად ამოშალოს იგი ხარჯთ აღრიცხვიდან. თუ ასეთ უკანონო გადასახადს მაინც იცნოს მიზანშეწონილად, ის შეეა საქართველოს უმაღლეს მთავრობაში ამ გადასახადს შემოღების შეუძლებლობით და გადასახადი დაკანონდება მხოლოდ ცენტრალურ მთავრობის დამტკიცების შემდეგ. აგოდვე განიხილავს ხარჯთ-აღრიცხვის გასავალის ნაწილს და თუ აღმოაჩინა მიზანშეწონილი ან უკანონო ხარჯი—სრულიად ამოშლის მას. ექვს გარეშეა შინაგან საქმეთა კომისარიატი ხარჯთ აღრიცხვის,

როგორც შემოსავლის ისე გასავალის ნაწილის განხილვის დროს უსათუოდ მოიწვევს დაწესებულებულ სახალხო კომისარიატების წარმომადგენელთა და მათი თანდასწრებათ გადასწყვეტს ყოველივე საკითხს.

კომისარიატი ასევე იხილავს კანონიერების და მიზანშეწონილების მხრივ ადგილობრივ ორგანოს თვითიყულს დადგენილებას, მთელი წლის განმავლობაში.

რაც შეეხება ცენტრალურ მთავრობის დანარჩენ ორ მოვალეობას, ე. ი. მასალის მიწოდებას და ტექნიკურ ძალებით დახმარებას, ეს ექვს გარეშეა, არ არის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოვალეობა, რომელსაც არც არ-ვითარი მასალა აქვს და არც ტექნიკური ძალები ჰყავს. ეს უნდა დაეკისროს უმაღლეს სამეურნეო საბჭოს, რომელიც ვალდებულია იქონიოს მეურნეობისათვის საჭირო იარაღი და მანქანები და თუ შესძლო მასალაც კი. ამავე დროს, მას ყავს მრავალი ინჟინერი და ტექნიკოსი და მათი გამოყენება სახალხო მეურნეობის ასაღორძინებლად მის მოვალეობას შეადგენს.

ამ გვარად უმაღლესი სამეურნეო საბჭოს როლი ადგილობრივ მეურნეობის აღორძინება-განვითარებაში აღმასრულებელია იმდენად, რამდენადაც ამას საჭიროებს ადგილობრივი ორგანო.

პრაქტიკულად ეს შემდეგში გამოიხატება: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სათანადო კომისარიატებთან შეთანხმებით ადგილობრივ ორგანოთა ხარჯთ აღრიცხვის დამტკიცების შემდეგ, ამ ხარჯთ აღრიცხვის ის ნაწილი, რომელიც ეხება კომუნალურ მეურნეობას, გადაეცემა უმაღლეს სამეურნეო საბჭოს, რომელიც ვალდებული იქნება ხარჯთ აღრიცხვის განხილვის შემდეგ ამოკრიფოს ცნობები, რა იარაღი, მანქანები და მასალა დასჭირდებათ, ადგილობრივ ორგანოებს და ყველა ეს მათთვის საჭირო ნივთები დაამზადოს თავის ქარხნებში და ბაზრის ფასებთან შედარებით უფრო იაფათ მიაწოდოს ადგილობრივ მათ (ამ სფეროში უმაღლეს სამეურნეო საბჭოს უნდა მიეცეს ფართე ასპა-ეზი) ან და ეს ნივთები შეიძინოს იქ სადაც მისი შეძენა შეიძლება ადგილობრივ ორგანოს ხარჯზე.

მაშასადამე იდეური ხელმძღვანელობა რჩება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, ხოლო პრაქტიკული მუშაობა უმაღლეს სამეურნეო საბჭოს.

ფუნქციების ასეთ განაწილების შემდეგ, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ადგილობრივ კომუნალური განყოფილებანი უკვე შეუერთდენ ადგილობრივ ეკონომიურ განყოფილებას, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში კომუნალურ მეურნეობის მთავარ სამმართველოს არსებობა, იმ განყოფილებებით, რომელიც მას დღესა აქვს, მიზანშეუწონელი იქნება და გამართლებას ცხოვრებაში ვერ აპოვის. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის როლი ადგილობრივ მეურნეობის აღორძინება-გან-



ვითარებაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განისაზღვრება იდეური ხელმძღვანელობით, ამიტომ ამ კომისარიატში უნდა შექმნას ისეთი განყოფილება რომელიც ახალი ეკონომიურ-ფინანსური პოლიტიკით გამოწვეულ ახალ დანიშნულებას პიონათლად შეასრულებს. ჩვენ ვფიქრობთ რომ უნდა შეიქმნას ისეთი ორგანო, რომელიც თვ ლყუოს ადევნებს ხარჯთ აღრიცხვის დროზედ და კანონიერად შედგენასა და მის აოსებითად განხილვას, როგორც კანონიერების ისე მიზანშეწონილობის მხრივ.

ამ გვარად ახალ ორგანოს სულ სხვა ვალდებულებანი დაეკისრება დღევანდლთან შედარებით და ამიტომ კომუნალურ მეურნეობის მთავარი საქმართველო გაუქმებულ უნდა იქნეს და მის მაგიერ შეიქმნას ადგილობრივი მეურნეობის მთავარი სამართველო შემდეგი ორი განყოფილებით:

- 1) საბიუჯეტო ხარჯთ-აღრიცხვის და
- 2) საბინაო.

პირველის შესახებ ჩვენ ზემოთ გამოვსთქვიით ჩვენი აზრი, რაც შეეხება მეორე განყოფილებას, აქაც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის, ხელმძღვანელობა, იდეურ ფარგლებს არ უნდა გასცდეს და მას დაეკისრება მხოლოდ მთავრობის დეკრეტების და კანონების განმარტება და თვალყუარის დევნება მათი შესრულებისა.

თვით სახლების ტეხნიკური ნაწილი, მათი შეკეთება ან ახლის აგება და დანგრევა იმავე სამეურნეო საბჭოს უნდა დაეკისროს და იგი ამ მხარეს განაგებს ადგილობრივ ეკონომიურ განყოფილების საძეალებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილობრივი ორგანო ვერ შესძლებს სამეურნეო საბჭოს დაუხმარებლივ საქმის შესრულებას.

მაშასადამე ამ დარგშიც, როგორც პირველშიც, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ფუნქციები ძეტად მკათიოდ განირჩევა უმაღლეს სამეურნეო საბჭოს მოვალეობათაგან და ამ გვარად ადგილი აღარ ექნება პარალელიზმს, საქმის გაჭიანუობას და ბიუოკრატისმს.

X.

## მოქალაქეობრივ მდგომარეობის ახალი რეპისიტრაცია

(დასასრული \*)

ხშირად სამღვდლოება მოქალაქის ნებას არ აძლევდა ქორწინებისას, თუ მექორწინენი არ მისცემდნენ ხელწერილს, რომ შევილება მონათლავდნენ იმ სარწმუნოებაზე, რომელ სარწმუნოების მღვდელსაც ჯვარი უნდა დაეწერა მათთვის. ამ ნიადაგზე ბევრი არა სასურველი ამბები მომხდარა. ამის თავიდან ასაცილებლად პირველად საფრანგეთის კანონმდებლობამ დაადგინა, რომ ქორწინებისათვის

საკმარისია მარტო შედგენა სათანადო აქტისა სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე.

ამ ჟამად სამოქალაქო ქორწინება მიღებულია ევროპის ბევრ სახელმწიფოში და ჩვენშიც ამგვარივე ქორწინება მიღებულია 1921 წლის 28 აპრილიდან. ამის შემდეგ ქორწინება ჩაითვლება კანონიერად მხოლოდ მაშინ, როდესაც მექორწინენი შესრულებენ შემდეგ წესს:

სარძლო და სასიძო წერილობით ან სიტყვიერად განაცხადებენ ადგილობრივ მ. მ. ა. ჩის განყოფილებაში, სადაც იანინ სცხოვრობენ, რომ მათ სურთ დაქორწინდნენ. ამ განცხადებასთან ერთად უნდა წაოუდგინონ თავანთი პიროვნოაის მოწმობა, ხელწერილი, რომ ქორწინდებიან თავისი სურვილით და ათა ძალდატანებით და რომ მათ ქორწინებას არა აქვს რაიმე კანონიერი დაბრკოლება. კანონიერ დებულებად ქორწინებისათვის ითვლება: 1) თუ სარძლო 15 წ. ნაკლებია და სასიძო 17 წელზე ნაკლებია. 2) თუ მექორწინენი სულიერად ჯანმრთელნი არ არიან, ან და თუ მისი ფიზიკური სიმრთელე წარმოადგენს საშიშროებას მეორე მხარის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. 3) დაქორწინება არ შეუძლიანთ იმ პიოთ, რომელთა ქორწინება უკვე ათის აღნიშნული მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტში, ან რომელნიც იმყოფებიან ისეთ ქორწინებაში, რომელსაც აქვს კანონიერი ძალა (ე. ი. ვისაც სურს დაქორწინდეს არ უნდა ჰყავდეს იმ ჟამად კანონიერი მეუღლე). 3) არ შეიძლება აგრეთვე დაქორწინება ამავეალ და შთამავალ შტოის აბლო ნათესაზე, აგრეთვე ღვიძლ და-ძმას და ხახვარ და-ძმათ (რომელთაც ან დედა ან მამა ჰყავთ საერთო), ასე რომ ქალი ვერ გათხოვდება თავის მამაზე, პაპაზე, ძმაზე, ძმისწულზე და ძიძაზე (ძამის ან დედის ძმაზე), აგრეთვე ვაჟ ვერ დაქორწინდება დედაზე, ბებიანზე (დედას დედაზე), თავის დედაზე, დიასწულზე, მამიდაზე და დედის დაზე. ამგვარივე დაბრკოლებას წარმოადგებს ის ნათესაობაც, რომელსაც ჰქმნის ქორწინების გარეშე კავშირი.

როცა ადგილობრივ მ. მ. ა. ჩის. განყოფილება დარწმუნდება, რომ ზემოდ მოყვანილი დაბრკოლებანი ათ არსებობენ, შეუდგება ქორწინებას ჩაწეას. მექორწინებმა უნდა განუცხადონ რა გვარის ტარება სურთ მათ, ე. ი. ქმონისა, ცოლისა თუ შეერთებული, შემდეგ ათისა ჩასწერენ კიდევ წიგნში სხვა საჭირო კნობებს, მექორწინენი მოაწერენ ხელს და ამის შემდეგ ქორწინება ითვლება კანონიერად. ქორწინება ხდება ადგილობრივ მ. მ. ა. ჩის განყოფილებაში წინააღვე დანიშნულ დღეებში და საათებში, მხოლოდ ავთამყოფებს შეუძლიანთ დაქორწინდნენ სახლში, ამ შემთხვევაშიც ქორწინება ხდება საჯაროდ, სხვა არავითარი ფორმალური მხარე აღარ არის საჭირო ქორწინებისათვის.

\*) იხ. „მოამბე“ № 24.



თუ ქორწინების ჩაწერის დროს ვინმე დამსწრეთაგანმა შეპოიტანა განცხადება, რომ დაქორწინებას ელოდება კანონიერ, რამ დაბრკოლება, ჩაწერა შეჩერდება, სანამ სათანადო სახალხო სასამართლო არ გამოიტანს თავის გადაწყვეტილებას. აშკარად დაუსაბუთებელი განცხადება ქორწინების წინააღმდეგ შეიძლება დატოვებულ იქნას სრულიად უყურადღებოდ. მაგალითად დედამამს არა სურთ დაქორწინება 15 წლის ქალისა ან 17 წლის ვაჟის, განყოფილების მიერ უარის თქმა დაქორწინებაზე განისაზღვრება ვადის დაუდებლად სახალხო სასამართლოს იმ რაიონში, სადაც მ. მ. ა. ჩის განყოფილებაა.

ქორწინების აქტის გაუქმებისათვის შეიძლება აღძრან საჩივარი მეუღლეებმა, იმ პირებმა, რომელთა ინტერესები დარღვეულია ამ ქორწინებით და სახელმწიფოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა. ცოლ ქრის სარწმუნოებას სამოქალაქო ქორწინების დაკანონების შემდეგ არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს.

წინად ქრისტიანს არ ჰქონდა უფლება დაქორწინებულიყო არა ქრისტიანზე, ამის გამოწვევას შეადგენდნენ მხოლოდ ლოტარანგები (გერმანელები), რომელთაც შეეძლოთ შეერთოთ ებრაელი, ან მაჰმადიანი, ეხლა, აგრეთვე აღარ არსებობს შეზღუდვა დაქორწინებისა ბერ-მოლოზნებისა, მღვდლებისა და მთავარ-დიაკონებისათვის. ზემოდ ნათქვამიდან აშკარად სჩანს, თუ რა დიდი ცვლილება მოხდა წინანდელ და ახლანდელ ქორწინების წესებში ასე რომ ეხლა მხოლოდ და მარტო სამოქალაქო ქორწინებას ექნება ძალა. სამოქალაქო ქორწინების ვითარება, როგორც ეს სჩანს, გამოიხატება იმაში, რომ ქორწინება ხდება არა სასულიერო პირთან და საეკლესიო წესით, არამედ სამოქალაქო პირთან და სახელმწიფოს მიერ შემოღებულ წესით, რომლისთვისაც სარწმუნოების კანონებს არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვთ.

ამგვარ სამოქალაქო ქორწინებას არავითარი სიერთო არა აქვს ვაჟის და ქალის შემთხვევით ერთად ცხოვრებასთან.

მარტო ადგილობრივ მ. მ. ა. ჩის განყოფილებაში ჩაწერილს ქორწინებასა აქვს კანონიერი მნიშვნელობა და მხოლოდ ამგვარ ქორწინება ჰბადებს ცოლქმრულ უფლებას და მოვალეობას და აგრეთვე მათ აძლევს შვილებზე უფლებას დედამამს, შვილებს კი მთამომავლობას და მემკვიდრეობას.

მოკლედ რომ ვსთქვათ სამოქალაქო ქორწინებას ეხლა ისეთივე უფლება აქვს, როგორიც წინად ჰქონდა საეკლესიო ქორწინებას.

**განქორწინება.**

სულ სხვა ნიადაგზეა დაყენებული განქორწინება, ცოლქმრობისა (გაყრა). აღარ არსებობს ის უბედურება, ცრუმორწმუნოება და ადამიანის პი-

როვნების შემოახველი და თავმოყვარეობის ცირებელი მოვლენანი. აღარ არსებობს რაიმე წლოვით გაქიანურება ამ საუბედურო პროცესისა. რა სასიზღვრება არ იყო მოგონილი ეგრედ წოდებულ სასულიერო „სასამართლოსაგან“, რომ გაქიანურებინათ და შეეფერხებინათ განქორწინება. სირცხვილიც კია რომ მოიგონოს ადამიანმა ის საბუთები, რომელსაც თხოულობდა სასულიერო „სასამართლო“ განქორწინებისათვის.

ცოლიც და ქმარიც დარწმუნებული არიან, რომ მათი ერთად ცხოვრება შეუძლებელი და აუტანელია, ორივეს სურთ უდავადარობით განშორდნენ ერთმანეთს, რათა ერთმანეთს სიცოცხლეს არ უწამლავდნენ. მაგრამ...

„სასულიერო სასამართლო“ განქორწინებისათვის თხოულობს „საბუთს“ მრუშობისა.

იწყება მძიმე, საძაგელი და ტუტყიანი „სასამართლოს“ პროცესი, სადაც თხოულობდნენ ისეთი მოწმების ჩვენებას, რომელთაც უნდა ჰქონდეთ თავიანთი თვალით ნახაზი მრუშობა.

რამდენად ბეცი იყო სამღვდლოება და რა რიგად სცემდნენ თვითონვე სარწმუნოების ავტორიტეტს სჩანს შემდეგიდან. მოწმეებს უნდა მიეღოთ ფიცი ღვთის წიხაზე, რომ ისინი მარტო სიმართლეს იტყვიან სასულიერო „სასამართლოს“ წინაშე, რა „სიმართლეს“ თხოულობდა სასულიერო „სასამართლო“ მოწმეებისაგან? იმ „სიმართლეს“, რომ მოწმემ „თავის თვლით“ ნახა ამა თუ იმ ცოლ-ქრმის მრუშობა. რაში სჭირდებოდათ მათ ესეთი წამება ადამიანისა? მხოლოდ იმისთვის, რომ ფორმა შეესრულებინათ. თუმცა დარწმუნებული ვარ, მათ თვითონაც არა სჯეროდათ ეს ფიცი... ვინ იყვნენ ის მოწმეები? მომეტებულ შემთხვევაში ისეთი ნაძირალნი, რომელთაც მოწმეთ ყოფნა ხელობდა ჰქონდათ გადაქცეული, რადგან ამგვარ დამოწმებისთვის იღებდნენ სასყიდლოს. ბევრი რამ სისაძაგლე შეიძლებოდა კიდევ მოგვეყვანა ეგრედ წოდებულ სასულიერო „სასამართლოს“ პრაქტიკიდან, მაგრამ მგონი, ესეც საკმარისია, რომ ადამიანმა ერთხელ და სამუდამოდ ზურგი აქციოს ამგვარ სისაძაგლეს.

ახლა გავეცნოთ თუ როგორ ხდება ამ ქამად განქორწინება:

როდესაც ცოლ-ქმარს აღარა სურთ ერთმანეთთან ცხოვრება (რა მიზეზით ეს არავისი საქმე არ არის და არც საინტერესოა) ადგილობრივ მ. მ. ა. ჩის განყოფილებას უცხადებენ განქორწინების შესახებ სურვილს, რასაც განყოფილება იქვე შეუსრულებს და საქმე ამითა თავდება. არც მოწმეების დაფიცება უნდა, არც ფულის ხარჯვა, არც წლოვით დავაზე დევნა. მათ შეუძლიათ შემდეგში კიდევ ხელმეორედ დაქორწინდნენ, თუ კი ამას მოისურვებენ. თუ მხოლოდ ერთ მეუღლეს სურს გაქორწინდეს ამ შემთხვევაში ის მიმართავს იმ რაიონის სახალხო სასამართლოს, სადაც თვითონ სცხოვრობს. სასამართლო გაარჩევს მის საქმეს და განაქორწინებს



მას, თუ არ შეთანხმდნენ, განსაკორწინებელი მეუღლენი, ატარებენ იმ გვარს, რომელიც ჰქონდათ მათ ქორწინებადღე. ყველა წესები ვრცელდება არა მარტო იმ ქორწინებაზე, რომელიც მოხდენილია სამოქალაქო წესით, არამედ წინანდელ საეკლესიო წესად. თუ რა გვართ უნდა იხსენებდნენ გაყრილ მეუღლეთა შვილები, ამას განმარტავს სასამართლო.

ვინ უნდა შეინახოს შვილები განქორწინების შემდეგ, ან უნდა აძლიოს თუ არა განქორწინებულ მეუღლეს (თუ კი მას არ მოეპოვება ცხოვრების სახსარი) დახმარება? — ამას განმარტავს აგრეთვე სახალხო სასამართლო.

აქედან აშკარად სჩანს თუ რა შორს სდგას და რამდენად ადამიანურია ახლანდელი განქორწინების წესი იმ წესზე, რომელიც არსებობდა წინა დროს სასამართლოებში.

ძველ დროში არსებობდა შემდეგი ტერმინი „უკანონო შვილი“, ან მღაბით რომ ვსთქვათ — ნაბიჭვარი. ეს სახელი ძალაუფლებურად მთელი თავის სიცოცხლე უნდა ეტარებინა იმ პირს, ვისაც კი „ბები“ არგუნებდა ამ სახელს. ამ სახელს როგორც მოგვსენებათ, უწოდებდნენ ხოლმე იმ პირს, რომელიც დაიბადებოდა ქორწინების გარეშე მყოფთ დედამისიდან. მათი მდგომარეობა იყო პირდაპირ გაუგებარი და დამცირებული. დედამ და მამამ, და ხშირათ შვილებმაც კარგათ იცოდნენ თუ ვისი შთამომავლის იყო ის. მაგრამ რას გააწყობდა? რითი უნდა დაემტკიცებინა ამ გვარ პირს თავისი შთამომავლობა. ამ გვარ პირს ძველდელი ნათლობისას ჩასწერდა ხოლმე ასე: ამა და ამ ქალწულს ქალს გაუჩნდა უკანონო შვილი (სახელი) ვინ იყო ამ ბავშვის მამა — არ იწერებოდა. რა გვარი ან მამის სახელი უნდა მიეცათ ბავშვისთვის? მომეტებულად აძლევდნენ ამ უხერხულ მდგომარეობაში იყოფ ბავშვს ნათლიის სახელს მამის სახელის მაგივრად, გვარს კი ნათლიის სახელიდან გადაუკეთებდნენ (მაგალითად ნათლიას ერქვა დავითი — ბავშვის გვარი იქნებოდა დავითა-შვილი) იშვიათ შემთხვევაში, ბავშვის მამას, — თუ მამობრივი გრძნობა ჰქონდა შერჩენილი — აღძრავდა ხოლმე სასამართლოს წინაშე, რომ თავისივე ბავშვი „ეშვილნა“ და ამ პროცესის შემდეგ, ძლივს მიენიჭებოდა ხოლმე ისიც როგორც „წყალობა“ ნამდვილი მამის გვარი. ასე ხდებოდა, როდესაც ბავშვის დედა არ იდგა ქორწინებაში. უფრო უარეს და გამოუსვლელ პირობებში იყო ისეთი პირი, რომელის დედაც იდგა ვისთანმე ქორწინებაში და მამად კი იყო სხვა პირი, აქვე აღარავითარი ძველი ხრიკები ვეღარ უშველიდნენ ბავშვს და გინდა თუ არა ასეთი ჩამომავლობის ბავშვი უნდა ჩაწერილიყო თავის დედისა და მის ქმრის შვილად გინდაც რომ ყოფილიყო ის სხვა მამის შთამომავლობისა.

ახალი კანონის ძალით ეს ხდება ისე, როგორც ეს არის ნამდვილად, ბუნებრივად. დედად ჩაიწერება

ნამდვილად ის ვინც შვა შვილი, მამად ის, ვინც შექმნა შვილი (იყო მამად). პრაქტიკულად ეს ხდება ამ გვარად: ქალი (განურჩევლად იმისა გაუთხოვარი თუ ქვრივია) სამი თვის წინედ ვიდრემ განთავსდებოდეს ორსულობისაგან გამოაცხადებს ადგილობრივ მ. მ. ა. ჩ. -ის განყოფილებაში, რომ მომავალი ბავშვის მამა არის ესა თუ ის პირი და ამასთანავე უჩვენებს მის მისამართს.

ადგილობრივი მ. მ. ა. ჩ. -ის განყოფილება დაიბარებს მამად გამოცხადებულ პირს, და თუ ის ორი კვირის განმავლობაში არ გამოცხადდება, ან არ განაცხადებს მამობაზე უარს, ბავშვის მამად ჩითვლება დაორსულებული ქალის მიერ გამოცხადებული პირი. მამად ნაჩვენები პირი თუ გამოცხადდა და მამობაზე უარი გამოაცხადა — საქმე გადაეცემა ადგილობრივ სახალხო მოსამართლეს, რომელიც გამოარკვევს ბავშვის ნამდვილ შთამომავლობას და ეს დადგენილება იქნება უკანასკნელი. რასაკვირველია კანონით ისჯებიან ის პირნი, ვინც კი სინამდვილეს არ ილაპარაკებს, როგორც ცრუ მოწმობის მაჩვენებელი. ასევე შეუძლიან მამად მომავალ ბავშვისა იყოს ქორწინებაში მყოფ ქალისაგან გამოცხადებული ნამდვილი მამა ბავშვისა და არა მისი ქმარი.

ამას ლოლიკურ შედეგად მოსდევს ის, რომ ეგრედ წოდებული ტერმინი „შვილად აყვანა“ აღარ არსებობს, რადგანაც ყოველ დაბადებულ ბავშვს ეყოლება თავის ნამდვილი დედაც და მამაც.

ბოლოს არ შემიძლიან არ აღვნიშნო ის, თუ რითი სჯობია ახალი კანონი ძველს. ახალ კანონით არავითარი განსხვავება არ არსებობს მოქალაქეთა შორის. აღარ არსებობს წოდებითი განსხვავება. ყველას, მიუხედავად მისი პროფესიისა, შეუძლიან იდგეს ქორწინებაში, აგრეთვე არ სჭირდება მას დამამტკიცებელი საბუთები „მოუშობისა“ განქორწინებისათვის.

ამიერიდან აღარ იქნება პიროვნების დამამტკიცებელი ტერმინი „ნაბიჭვარი“. მე მგონი ეს არ არის უკანასკნელი სატყუა ამ დარგში. ცხოვრება კიდევ სხვა ბევრ რამეს გვასწავლის, რაც ჩვენ არა ვგაქვს გათვალისწინებული.

დასასრულ საჭიროა აქვე განვმარტოთ ზოგიერთი პრაქტიკული კითხვები, რომლითაც მომმართეს ზოგიერთმა ადგილობრივმა მ. მ. ა. ჩ. ის განყოფილებებმა. 1) შეუძლიან თუ არა სამღვდელოებას მონათლოს ბავშვი, ვიდრე იგი იქნება ჩაწერილი ადგილობრივ მ. მ. ა. ჩ. ის განყოფილებაში. 2) შეუძლიან თუ არა იმავე პირებს დამარხონ გადაცვალებულნი გადაცვალების ჩაწერამდე. 3) შეუძლიან თუ არა მათვე დასწერონ ჯვარი მექორწინეთ, ჩაწერამდე. 4) მოვალეა სამღვდელოება უეჭველათ ჯვარი დასწეროს იმ პირს, რომელთაც განაცხადეს მ. მ. ა. ჩ. ის განყოფილებაში სურვილი ქორწინებისა? და სხვა.

პირველ კითხვაზე უპასუხებს სამღვდლოებას:



სამღვდელოებას შეუძლიან მონათლოს ბავშვი, როდესაც სახოვს ამას დედამა მიუხედავად იმისა ჩაწერილია ბავშვი მ. მ. ა. ჩის განყოფილებაში, თუ არა. ამით არ ირღვევა არავითარი კანონი, რადგანაც მარტო მონათვლას არავითარი შედეგი არ მოსდევს მოქალაქობრივ პდგომარეობისათვის. მონათვლა არის მხოლოდ საეკლესიო წესი (საიდუმლო საეკლესიო ერთ რომ ვსტქვით). მარტო მონათვლა ბავშვისა და არ ჩაწერა მისი ერთი თვის განმავლობაში მ. მ. ა. ჩის განყოფილებაში დღიდან მისი დაბადებისა, არ იხსნის მშობლებთან იმ პირთ ვის მოვალეობასაც შეადგენს დედამისის უყოლობის გამო, ბავშვის ჩაწერა კანონიერ პასუხის მგებლობისაგან.

მეორე კითხვაზე—ჯერ ერთი, რომ სამღვდელოება არა მარხავს მკადრებს (ეს იმათ პროფესიას არ შეადგენს) ისინი მხოლოდ უგებენ ანდერძს (საეკლესიო წესს).

არავისი დამარხვა არ შეიძლება, სანამ არ იქნება სათანადო ექიმის მიერ ნებართვა ამა თუ იმ მიცვალებულის დამარხვის შესახებ. ამას უნდა თვალყური ადევნოს ადმინისტრაციამ ეს საქროა იმარტომ, რომ უეჭველად უნდა იყოს გამოცხადებული მიზეზი სიკვდილისა (არა ერთხელ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ადამიანი გარდაცვილია არა ბუნებრივ, არამედ ყოფილა ხელოვნურად სიკოცხლეს მოსპობილი. მაგ. მომკვდარა მოწამლისაგან ცემისაგან და სხვა) ამ წესის დამრღვევნი მახლობელნი მიცვალებულისა) რომელიც მოვალენი არიან გამოაცხადონ გვარი მიცვალებულისა, მიიციმეიან პასუხისგებაში.

მესამე კითხვაზე დეკრეტში არ არის ისეთი მუხლი, რომელიც მოითხოვდეს სამღვდელოებისაგან, რომ მათ არ დასწერონ არავის ჯვარი, ვიდრე მექორწინენი არ იქნებიან ჩაწერილნი მ. მ. ა. ჩის განყოფილებაში. იქ გარკვევით და ნათლად არის ნათქვამი, რომ სანამ მექორწინენი არ ჩაიწერებიან მ. მ. ა. ჩის განყოფილებაში, მათი ქორწინება არ ჩაითვლება კანონიერათ ე. ი. არავითარი იურიდიული შედეგი არ მოსდევს ამ გვარ კაცის და ქალის ერთად ცხოვრებას, ესეთი მოვლენა არ ჰქმნის ცოლქმრობის (ნება ძალა) მოვალეობას. მაშასადამე სამღვდელოებას, მიუხედავად ჩაწერისა, შეუძლიან ჯვარი დასწეროს (აუპარულოს საეკლესიო ჯვრის წერის წესი). მეორე კითხვაზე—სამღვდელოებას აქვს საეკლესიო წესი, ამ წესის მახეღვით მათ შეუძლიანთ ჯვარი დასწერონ ერთ და იმავე პირს მხოლოდ სამჯერ. სამოქალაქო წესით ერთ და იმავე პირს შეუძლიან იქორწინონ არა თუ სამჯერ, არამედ განუსაზღვრელად. მაშასადამე ვერავინ ვერ მოსთხოვს სამღვდელოებას, რომ მათ უეჭველად ყველას, ვინც კი დაქორწინდება სამოქალაქო წესით, დასწერონ ჯვარი (აუპარულონ საეკლესიო ჯვრისწერის წესი). ვიმეორებთ რომ ამ შემთხვევაში სამღვდელოება ხელმძღვანელობს მარტო თავისი საეკლესიო წესით.

დ. მ-ძე.

# შრომის ბეგარა


(განმარტება დეკრეტისა № 83 საყოველთაო შრომის ბეგრის შესახებ. იხ. „მომხმე“ № 24)

შ. ს. ს. კომისარიატის ჟურნალ „მომხმის“ № 23 ჩვენ შევეხეთ მთავრობის იმ დეკრეტს და დადგენილებას, რომელიც ეხებოდა შრომის ბეგრის მოგვარების საკითხს ა. წ. 8 დეკემბრამდე. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ დეკრეტ № 69, დავალებით „შარავით ტვირთზიდვის ბეგრის“ საკითხს აუქსრივებდა სახალხო მეურნეობის უძაღლესი საბჭო, მთავრობის დადგენილება № 70-ით კი „გზათა შესაკეთებლად მუშაობის წარმოებისათვის შრომის ბეგარის“ გატარება დაეკისრა შრომის სახალხო კომისარიატს. ამასთან ერთად შ. ს. ს. კომისარიატის ცირკულიარის № 27 თანახმად, სხვა დარგში ბეგარის გატარების და ხეაართვეის მიცემის თუნქციათა სისრულეში მოყვანა თავს იღვა იმავე შრომის სახალხო კომისარიატმა, როგორც ისეთმა ორგანომ, რომელიც მოწოდებულია შრომის უზენაეს ზედამხედველად და მისი უფლების დამცველად. წერილის აოლოში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ზევით დასახელებული დეკრეტი და დადგენილება, შემდეგ კი ცირკულიარი, სავსებით არკვედენ, როგორც წესს ბეგრის გატარებისას, აგრეთვე იმ ორგანოებს, რომლებსაც ამის უფლება ჰქონდათ.

მაგრამ დეკრეტმა ან 83, რომელიც ძალაში შესულად ითვლება ა. წ. 8 დეკემბრიდან, თანახმად დეკრეტის მე 9 მუხლისა, ბეგრი რამ შესცვალა არსებულში და შესცვალა იმდენად, რომ გააუქმა დეკრეტი № 69 და მთავრობის დადგენილება № 70.

როგორც სჩანს დეკრეტი № 83-ს ზოკადი დებულებიდან, იგი გამოიკა საწარმოო ძალთა ასალორძინებლად, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ტრანსპორტის და მეურნეობის სხვა დარგის აღსადგენად. ყოველივე ამისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მუშა ხელის ყოლა და მათი გამოყენება ერთი, მთლიანი სამეურნეო გეგმის მიხედვით. ეს კი, თანახმად დეკრეტისა, მოითხოვს შრომის უნარის მქონე მოქალაქეთა საერთო მუშაობაში ჩაბმას. სწორედ ამიტომ აღნიშნული დეკრეტის პირველი მუხლით შემოღებულ იქნა „შრომის ბეგარა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურის რესპუბლიკის ყოველი მოქალაქისათვის.“ მაგრამ შრომის ბეგარის ასეთი ფართე მატებათ გატარებას აუცილებლად წინ უნდა უქლოდეს მოსამზადებელი მუშაობა და ამასთან ერთად აღრ ცხვა იმ ცოცხალ ენერჯის და ცოდნის მქონე პირთა, რომელთა გამოყენებაც კი შეიძლება დეკრეტი 83-ს თანახმად. ამისათვის უნდა მოხდეს: ყოველმხრივი და სრული აღრიცხვა შრომის უნარის მქონე და შრომა ვალდებულ პირთა და აგრეთვე ტენიკური ძალებისა; საზოგადოებრივ სასარგებლო სამუშაოზე უნდა იქნენ გაწვეულნი ის პირნი, რომელნიც ასეთი სასიათის მუშაობას არ ეწევიან ან თავს არი-





დებენ ხოლმე; სახელმწიფო წარმოება დაწესებულებების და მეურნეობის სამუშაოზე უნდა იქნენ გადაყვანილნი ის პირები, რომლებიც ზევით ჩამოთვლილ დარგში არ მუშაობენ, მაგრამ ეწვეიან სოფლის მეურნეობასა და ხელოვნურ შინა მრეწველობაში მუშაობას.

რომ თავიდან იქნეს აცილებული ზედმეტი მუშა ხელის ერთ რაიონში, ან ერთ რომელიმე დარგში მოგროვება, რაც შრომის საერთო ნაყოფიერებას სცემა და წარმოებასაც უკარგავს ინტენსიურ ხასიათს, — მისათვის დეკრეტს აუცილებელ საჭიროებად მიიჩნია მუშა ხელის მიზანშეწონილად დანაწილება; დეკრეტი მოითხოვს აგრედვე სხვადასხვაგვარ, სასოფლო მეურნეობისათვის საჭირო, ასარგებლო სამუშაოს შესასრულებლად სათანადო მუშა ხელის გამოწვევას და სხვ...

დეკრეტის 2 მუხლი ეხება შრომის არმიის და შრომის ნაწილების უშუალოთ შედგენას და გამოყენებას, ეხება წითელ არმიელებს და ფლოტის მუშახელს, იძულებითი მუშაობის ბანაკში შეპყრობილთ, საზღვარგარეთიდან მუშა ძალის ემიგრაციას და რევივაციის ორკანიზაციას და სხ.

ჩვენ ვსთქვით ზევით, რომ № 83 დეკრეტმა გაუქმა № 69 და დადგენილება № 70. რაში გამოიხატა ეს გაუქმება? ეს გამოიხატა იმაში, რომ, როგორც № 83 დეკრეტის მუხ. 3 გაეუბნება „შრომის სახალხო კომისარიატის ადგილობრივ შრომის განყოფილებებს დაევალება ზემოაღნიშნულის განხორციელება, რისთვისაც მათ მთავრობამ უფლება მიანიჭა მუშა ხელის აღრიცხვის მოხდენა, მუშა ხელის მოპარაგების გეგმის შედგენა, უმაღლეს ორგანოებში შრომის მობილიზაციის და შრომის სხვადასხვა ბეგარის პროექტების შეტანა. ამ უკანასკნელის განხორციელება უნდა მოხდეს შინაგან საქმეთა და სამხედრო უწყების აპარატების მეშვეობით. შრომის განყოფილებებმა უნდა შეიმუშაონ შრომის ბეგარიდან განთავისუფლების და ერთი სამუშაოდან მეორეზე გადაყვანის წესები.

შესაძლებელია ერთგვარი გაუგებრობა გამოიწვიოს დეკრეტი 3 მუხლის პუნქტი ბ — უკანასკნელმა წინადადება, სადაც ნათქამია, რომ „შეიტანოს შრომის“ ბეგარის პროექტები და განხორციელოს იგი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის და სამხედრო უწყების აპარატების მეშვეობით. რას ნიშნავს ეს „აპარატების მეშვეობით?“ შეიძლება ეს თავისთავად უხერხული გამოთქმაც იყოს, მაგრამ აქ ნაგულისხმევია მხოლოდ ის გარემოება, რომ როცა უმაღლეს ორგანოებში შეტანილი პროექტები მოწონებული და დამტკიცებული იქნება, ამის შემდეგ მისი განხორციელება უნდა მოხდეს შ. ს. ს. კომისარიატის და სამხედრო უწყებათა აპარატების მოშველიებით, ან უკეთ საშუალებით. დეკრეტის მე 4 მუხლში ლაპარაკია იმის შესახებ თუ ვის აქვს უფლება შრომის დეზერტირობისათვის დისციპლინარული სამხანაგო სასამართლოში და რევოლიუციონური ტრიბუნალის

სასამართლოში დამნაშავეთა მიცემისა. მე 5-თე მუხლი განმარტავს თუ ვინ უნდა ჩაითვალოს შრომის დეზერტირად, მე 6 მუხლი კი განმარტავს თუ რა უფლებები აქვთ მინიჭებული შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ ორგანოებს, შრომის დეზერტირების დასასჯელად.

დეკრეტის 7 მუხლი ნებას აძლევს შრომის სახალხო კომისარიატს გაჰოსცეს დადგენილებები და ინსტრუქციები ამ დეკრეტის გასაფართოებლად და განსამარტავად.

ესლა ვიკატხოთ — რა შეიცვალა ამ დეკრეტით და რა არის მასში ახალი ისეთი, რაც არ იყო არც № 69 დეკრეტში და არც № 70 დადგენილებაში. საქმე იმაშია, რომ, როგორც უკვე თავშივე იყო თქმული, შრომის ბეგარის საკითხს მიუცა სრული სახე და მთლიანი გეგმა. თუ წინანდელი დებულებებით ბეგარის სხვადასხვა სახის გატარება დანაწილებული იყო, უკანასკნელი დეკრეტის შემდეგ ამ საქმეს დაეპატრონა სავსებით ერთი კომისარიატი, სახელდობრ შრომის სახალხო კომისარიატი: დღეს მხოლოდ ის არის პროექტების განმაილველი, ნებართვის მიცემი, აღმრიცხველი, გეგმის შემდგენი და სხ. მხოლოდ ბეგარის გატარებაში აქვს პრაქტიკული სახის მოვალეობა შესასრულებელი შ. ს. ს. კომისარიატის და სამხედრო უწყების აპარატებს.

ამნიარად მომავალში არ შეიძლება გატარებული იქნეს ბეგარა შრომის სახალხო კომისარიატის დაუკითხავად და მისგან ნებართვის მიუღებლად.

უნდა ითქვას, რომ საერთოთ დეკრეტი № 83 შრომის ბეგარის საკითხს აძლევს მწყობრ, ნორმალურ და კანონიერ ხასიათს, ურომლისოდ შეფერხდებოდა ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმის ცხოვრებაში გატარება.

შ. გოლუა.

## გაზრისა და კალაქ. რეკვ. თავმჯდ. და გათი მოადგილეების პრილოგ.

(შემდეგი \*)

მე-6 სხდომა. 24 ნოემბერი, საღამო.

თავმჯდომარეობს ამხ. ბ. კვირკელია.

მოხსენებისთვის სიტყვა ეძლევა სახალხო სასურსათო კომისარიატის კოლეგიის წევრსა მხ. გ. სტურუას.

საქართველოში საბჭოთა ძალაუფლების დამყარების პირველ ხანებშივე სასურსათო კომისარიატის დაარსებასთან ერთად დაარსდა ადგილობრივი სამაზრო სასურსათო კომიტეტები, რომელთა ვალდებულებაში შედიოდა ადგილობრივ, ცენტრის განკარგულებათა თანახმად, სხვა და სხვა სურსათ-სანოვაგის დამზადება და გარდა ამისა ადგილობ-

\*) იხ. „მომავლეთი“ № 24.



რივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და განაწილება იმ საგნების, რომელიც მათ მოსდიოდათ ცენტრიდან. სამწუხაროდ სამაზრო სასურსათო კომიტეტების მოღვაწეობა იმ თავითვე ვერ დადგა ჯეროვან სიმაღლეზე, იმათ მთავარი ყურადღება მიაქციეს ადგილობრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და ცენტრის განკარგულებანი სურსათ-სანოვაგის დასამზადებლად და ცენტრისათვის მისაწოდებლად უყურადღებოდ რჩებოდა. ამ გარემოებამ გამოიწვია სამაზრო რწმუნებულთა ინსტიტუტის დაარსება, რომელთაც დაეკისრათ ცენტრის განკარგულებათა ასრულება ადგილობრივ სურსათ სანოვაგის დასამზადებლად. ამავე დროს ფართოდ იქმნა გამოყენებული ამავე მიზნისთვის კოოპერატიული დაწესებულებანი; აქედან სჩანს, რომ ერთი და იგივე მიზნისთვის მუშაობა ადგილობრივ მინდობალი ჰქონდათ მრავალს დაწესებულებას და ფუნქციათა არევის თავიდან ასაცილებლად სასურსათო კომისარიატს განზრახული აქვს სამაზრო კომისარიატების და რწმუნებულთა ინსტიტუტის ერთ ორგანოში გაერთიანება.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სურსათის და პირველ საქიროების საგნების მომარაგება საში მხრიდან სწარმოებს:

1) საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში დამზადება სურსათისა ყიდვისა, თუ გადაცვლის საშვალეებით, 2) მოსახლურ საბჭოთა რესპუბლიკებში დამზადება სურსათის და სხვა საგნების და 3) საბჭოთა რუსეთის დახმარება. ჩვენს განკარგულებაში მყოფ ცნობების მიხედვით საქართველოში დღემდე დამზადებული იყო 182.458 ფუთი ხორბალი და სხვ. პურეულობა, ბოსტნეულობა, კართოფილი და სხვა ასეთი 77.561 ფუთი, რძე, კარაქი და სხვა 24.073, ხორცი, 30.576, კვერცხი 123.763, თივა 211.000 ფუთი, მატყლი 10.821 ფ., აბრეშუმის პარკი 9 ათასი ფუთი. საქართველოს რესპუბლიკის გარეშე დავამზადეთ: ხორბლეულობა 253.078 ფ. ბრინჯი 140.121 ფ., თევზი დამარილებული 30.820 ფ. საკლავი საქონელი 130 სული, შაქარი 14.152 ფ., მარილი 47.724 ფუთი, ზეთი—182 ფ., ასანთი 399.950 კოლოფი, საპონი 921 ფუთი და ფართლეულობა 390 არშინი. ამას უნდა მივუმატოთ ის საგნები, რომელიც ჩვენმა ორგანოებმა ადგილობრივ გაანაწილებს ჩვენსა და შეუტყობინებლად. ყველა ზემოაღნიშნული საგანი უკვე დახარჯულია და განაწილებულია. ყრილობისათვის საინტერესოა თუ როგორ ნაწილდება მოთხოვნილება ცენტრსა და ადგილობრივ ორგანოებს შორის და როგორი პროცენტით კმაყოფილდებოდა მათი მოთხოვნილებანი? მოთხოვნილებათა 49 პროც. მოუღის პროცენტისა, 36—ქ. ტფილისს და 15 პროც. შეიცავს რკინის გზების მოთხოვნილებათა ნახევარს, ხოლო მეორე ნახევარი კმაყოფილდება რუსეთის რესურსებით. ციფერებით-კი ეს მოთხოვნილებანი შემდეგ სურათს მოგვცემს. სახელმწიფო სურსათ-სანოვაგის

აწვდიდა: საბჭოთა მოსამსახურეებს და მუშებს—86.478 კაცს, მათ ოჯახების წევრებს—137.374 სულს, ტუსადებს—31.88 ს., ავარიყოფებს საავადმყოფოებში—6 354 ს., ინვალიდებს—729 ს., ბავშვებს თავშესაფრებში—2.656 ს., ბავშვებს შკოლებსა და სასადილოებში 5 088, წითელ არმიელთა ოჯახებს—10.210 ს., ამას ემატება წითელი ჯარი და საგანგებო კომისიის სამხედრო ნაწილები. სულ ვაჭყვიდით 300.000 სულზე მეტს, მაგრამ, როდესაც დავინახეთ, რომ ყოველად შეუძლებელია მათი შენახვა, შეგვიკადით შემცირებას და პირველად შევამცირეთ 254.077 პირამდი. ეს მუშაობა ახლა ენერგიულად სწარმოებს.

ამჟამად ახალი ეკონომიური პოლიტიკის გამო მდგომარეობა ძირიანად იცვლება. სასურსათო ბეგრის დაწესების გამო შესამჩნევად იმატებს ჩვენი რესურსები. თუმცა საგადასახადო სიიბის შედგენა დამთავრებული არ არის, მაგრამ წინასწარი ანგარიშით სასურსათო ბეგარამონდა მოგვცეს 600.000 ფ. პური და სიმინდი, 85.000 ფ. კართოფილი, 70.000 ფ. ხორცი, 9.000 ფ. კარაქი, 16.000 ფ. ყველი, 35.000 ფ. კომბოსტო, 10.000 ფ. მატყლი, საერთო ღირებულება სასურსათო ბეგრისა 90 მილიარდს აღემატება. ბეგრის შეკრება უკიდ დაწყებულია ტფილისის და ახალქალაქის მაზრებში, რიგზედ დანან ახალციხის და თელავის მაზრები. აგვარად იმ სამ წყაროს სურსათის დამზადებას, რომელზედაც ზევით მიგითითეთ, ემატება მეოთხე მეტად მძლავრი წყარო სასურსათო ბეგარა, რომლიდანაც დიდ შედეგებს ველით და მისი შემწეობით ვფიქრობთ, ცოტათ თუ ბეგარს, ნორმალურ კალაპოტში ჩადგება მუშა-მოსამსახურეთა უზარუნველყოფა სურსათ-სანოვაგით ამავე მიზნით განზრახულია მოსამსახურეთა შტატების კვლავ შემცირება, რომელიც დაახლოვებით არსებული შტატების 55,7 პროც. უნდა შემცირდეს. როდესაც ყველა ეს ზომები განხორციელებული იქნება მაშინ იმედი გვაქვს, რომ მუშა-მოსამსახურე საცხოვრებელ მინიმუმს მიიღებს სახელმწიფოდან, რაც ექვი არ არის, შესამჩნევად გააძლიერებს მუშაობის ნაყოფიერებას.

მომხსენების დასასრულ ამხ. სტურუამ მოწოდებით მიმართა ყრილობას, რათა ადგილებზე დაბრუნების შემდეგ ხელი შეუწყონ სასურსათო ბეგრის ცხოვრებაში გატარებას.

მომხსენებელს მიეცა მრავალი შეკითხვა, მაგრამ, როგორც წინა მოხსენების შეკითხვები, ისე შეკითხვები სასურსათო კომისარიატის მოღვაწეობის შესახებ განმეორებული იქმნა კამათში და ამიტომ პირდაპირ მოვიყვანთ საკამათო სიტყვებს და სასურსათო კომისარიატის კოლეგიის წევრის ამხ. სტურუას საპასუხო სიტყვას.

კამათი ამხ. სტურუას მოხსენების შესახებ გაიმართა ყრილობის მე-10-ე სხდომაზე 26 ნოემბერს, საღამოს.

ამხ. მკვთარაძე, მუღუკიძე, შოგირაძე და სხვა



აღნიშნავენ, რომ სასურსათო კომისარიატს ადგილობრივი აპარატი სრულიად მოუწყობელი აქვს. ამხ, ქავთარაძე ხაზს უსვამს, რომ დამამზადებელი აპარატის მთლიანობის ნაცვლად მრავალი აპარატი შექმნილი, რადგანაც კომისარიატი ყველას აძლევს უფლებას სურსათის დამამზადებისას. ორატორი თავის აზრს ასაბუთებს ზუგდიდის მაზრის მაგალითით, სადაც სასურსათო კომისარიატის ორგანოებთან ერთად თითქმის ყველა კომისარიატები ეწვეიან სურსათის დამამზადებას, მათ შორის იუსტიციის და ხახალხო განათლების კომისარიატებისაც. კი გაუგზავნიათ წარმომადგენლები. ამავე დროს ამხ. ქავთარაძემ აღნიშნა, რომ სასურსათო კომისარიატმა ვერ გამოარკვია დამოკიდებულება აფხაზეთთან, სადაც ზუგდიდის მაზრის გლეხობა მუდამ სთესდა სიმინდს და წვლს ველარ გამოიტანეს საზღვრების დახურვის გამო, მაშინ როდესაც, თვით მაზრაში, ისე სამორზაყანოდან კერძო სპეკულიანტებს მრავლად გამოაქვს სიმინდი. ასეთსავე საკითხს ეხება ამხ. ბაღრიძე, რომელიც აღნიშნავს, რომ ახალქალაქის მაზრაში სასურსათო კომისარიატმა ვერ მოაწყო მატყლის შესყიდვა; ამავე დროს მეცხვარეები რევკომთან მოდიოდნენ და თხოულობდნენ ეყიდნა რევკომს, მაგრამ კომისარიატს მათთვის ნება არ მიუცია შესყიდვისა და მთელი მატყლი კერძო ვაჭრებს და სპეკულიანტებს შეუძენიათ. სათანადო ორგანიზაციის უქონლობაზე ჩერდება რაქის რევკომის თავმჯდომარე წულუკიძეც, რომელიც აღნიშნავს, რომ მთელი დამამზადება კომისარიატის ხელში მოექცა, თვით ვერაფერი დამამზადა და დამშეული მაზრებს ვერავითარი დახმარება აღმოუჩინა ცენტრმა. იგივე საკითხი უფრო ვრცლად გაარჩია შორაპნის მაზრის წარმომადგენელმა ბუაჩიძემ, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ კომისარიატი მხოლოდ ცენტრს-ტფილისს აკმაყოფილებდა და პროვინციის მოხელეები იყენენ სრულიად მშვიერ-ტიტვეონი, რაც ძლიერ უშლიდა ხელს მათ შერჩევას. კომისარიატის ადგილობრივ წარმომადგენლების უფარვისობა ყველა ზემოხსენებულმა ორატორმა აღნიშნა და განსაკუთრებით-კი უფარვისობა სამაზრო რწმუნებულისა; სამაზრო რწმუნებულების ინსტიტუტის გაუქმებას ერთხმად თხოულობდნენ ყველანი.

ტფილისის მაზრის ერობის თავმჯდომარე ამხ. მეგრელიშვილი აღნიშნავს იმ ძნელ პირობებს, რომელშიც მოუხდა მუშაობის დაწყება სასურსათო კომისარიატს და ამბობს, რომ, როდესაც კომისარიატი დაარსდა ტფილისში დღე-ნახევრის სამყოფი სურსათიც არ მოიძებნებოდა და ასეთ პირობებში შეუძლებელი იყო ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილება. იგივე ორატორი და აგრეთვე ქავთარაძეც აღნიშნავენ კოოპერატივთა და მათი კავშირების დახმარების საჭიროებას სურსათ-სანოვავის დამამზადების საქმეში, ოღონდ საჭიროდ მაინც კოოპერატივთა კავშირების მალ მალი რევიზიის წარმოება.

თვისი საპასუხო სიტყვა სასურსათო კომისარიატის წარმომადგენელმა ამხ. სტურუამ დაიწყო საერთო შენიშვნით, რომ სასურსათო კომისარიატის მოღვაწეობის კრიტიკა მას მაინც ძლიერ სუსტათ, რომ ის ბევრათ უფრო ძლიერ კრიტიკას მოვლოდა, რადგანაც სასურსათო კომისარიატის მოღვაწეობა ამჟამად ფრიად მნიშვნელოვანია საბჭოთა რესპუბლიკის ცხოვრებაში და თავისთავად ცხადია, რომ შევდომებიც ბევრი მოიპოვება. ამხ. სტურუა მუხლობრივ უპასუხებს ყველა ორატორს, როგორც საერთო ხასიათის შენიშვნებზე. ისე კონკრეტულზე, მაგრამ უადგილობის გამო ჩვენ მხოლოდ მისი სიტყვის საფრთხე მნიშვნელობის ნაწილს მოვიყვანთ.

პირველად ყოვლისა აღსანიშნავია, შენიშნა ამხ. სტურუამ, რომ ყოველივე სასურსათო საქმის წესიერ ნიადაგზე დასაყენებლად აუცილებელია სწორი აღრიცხვა და ჩვენც სათანადო ბრძანება მივეცი და არსებისათნავე ყველა სასურსათო კომისარიატის ორგანოს პროვინციაში, მაგრამ სწორი აღრიცხვის გატარება ვერსად ვერ მოხერხდა, რადგანაც პროვინციალური ორგანოები და განსაკუთრებით რევკომები არა თუ არ გვეხმარებოდნენ ამ საქმეში, არამედ ხელსაც გვიშლიდნენ; მათ უთუოდ გზინოდათ, რომ ადგილებიდან სურსათი არ წასულიყო ცენტრისაკენ ან არ ყოფილიყო გადაჯგუფებული, ეს მიზი ზედმეტი იყო და ამანვე შესამჩნევად შეუწყო ხელი პროვინციაში სასურსათო საკითხის მოუწესრიგებლობას. შემდეგ ამისა ამხ. სტურუა გადავიდა სასურსათო კომისარიატის დამამზადებელ მოღვაწეობაზე და აღნიშნა ყრილობის წევრების საყვედურების უსაფუძვლოება, რომელიც უსაყვედურებდნენ, რომ კომისარიატმა თითქოს ვერ შესძლო ადგილებზე სურსათის შესყიდვა მოწყობა; ამის უმთავრესი მიზეზია საშვალეობათა უქონლობა. საქართველოს რევკომი დღეში გვაძლევს 130—160 მილიონ მანეთს, ეს დღიური მიმდინარე ხარჯს ვერ აკმაყოფილებს და რაკვირველია, რომ უსახსრობის გამო კომისარიატმა ვერ აწარმოვა პროვინციაში ფართო დამამზადებელი ოპერაცია; აქიდან გამომდინარეობს, რომ ის ზედმეტი სურსათი, რომელიც უსახსრობის გამო ჩვენ ვერ შევიძინეთ, შეიძინეს კერძო ვაჭრებმა, რომლებსაც ყრილობის წევრები სპეკულიანტებს უწოდებენ. ბოლოს და ბოლოს ეს არ არის დაძლუპველი მოვლენა საბჭოთა რესპუბლიკისათვის, რადგანაც, როგორც ეს არა ერთხელ აღუნიშნავს ამხ. ლენინს, დღესდღეობით თავი და თავი საკითხია, რომ სურსათ-სანოვავა არ გავიდეს რესპუბლიკის საზღვრებიდან და ამას ჩვენ სასტიკათ ვებრძვიართ. კერძო ვაჭრების-მიერ შეძენილ სასურსათო საგნებს, ამა თუ იმ გზით, საბჭოთა რესპუბლიკა მაინც თავის სასარგებლოდ გამოიყენებს, გვასწავლის ამხ. ლენინი. კერძო ვაჭრობის აკრძალვაც უკუგდებულა საბჭოთა რესპუბლიკების მიერ სასურსათო ბევრის შემოღების შემდეგ, რადგანაც ბევრათ



დიდ წილს წლიური შემოსავლისას უტოვებს გლეხაკობას, რომელიც სრული ბატონ-პატრონია, როგორც სურს ისე მოექცეს ზედმეტ სურსათს და რასაკვირველია გაყიდვაც შეუძლია მისი, თუმცა ამ გზით ჩვენ წვრილ-პურულაზ ულ იდილოლოგიას ვასაზრდობთ, მაგრამ ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ გარემოებას, რომ გლეხობა გაჟღენთილია საკუთრების გრძნობით.

შემდეგი კითხვა, რომელიც გააჩნია აშხ. სტურუამ იყო ყრილობის წევრების შენიშვნები მთელი დამამზადებელი აპარატის თავის ხელში ჩაგდებას შეახებ მასაც ფრიად საპატიო მიზეზი აქვს, რადგანაც ძლიერ საშიშია ბაზარზე ბევრი მყიდველის გამოშვება, თუნდ ყველა ის საბჭოთა ორგანიზების წარმომადგენლებიც იყოს, სულ ერთია, ეს გარემოება ფასების გაზვიადებას მაინც გამოიწვევსო. აგრეთვე უსაფუძვლად მიჩნია მომხსენებელმა შენიშვნა მხოლოდ ცენტრის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ. ჯერ ერთი აღიშნა მომხსენებელმა ჩვენ შეძლებისდაგვარად, ვაკმაყოფილებდით პროვინციასაც და თუ ცენტრზე ბევრად მეტი ინარჯებოდა ეს მით იყო გაოცებული, რომ აქ მოგროვილი იყო გასავალი წითელ ჯარზე, საგანგებო კომისიის და საგანგებო დანიშნულების რაზმებზე, ურომლისოდ, თანამედროვე პერიოდში არ შეუძლია არსებობა საბჭოთა რესპუბლიკასო.

მომხსენებელმა ბაზი გაუსვა, რომ მუშაობის ჯგროვან სიმაღლეზე დაყენებას ძლიერ უშლის ხელს თომზადებულ პირების არ ყოლა და აგრეთვე ძლიერი სიმცირე პარტიული მუშაკებისა, კომისარიატის ცენტრში ორასამდე მოსამსახურეზე ნკომუნისტი მოდისო. ჩვენ მივხარეთ პროფესიონალურ საბჭოს მოცათ მუშაკები, საბჭომ გამოგვიგზავნა მუშები, მაგრამ, სამწუხაროდ თითქმის ყველა მათგანი გამოუსადეგარი გამოდგა სასურსათო მუშაობისათვისო. ამავე მიზეზით ახსნა აშხ. სტურუამ სამაზრო რწმუნებულებას შეუფერებლობა და ახლ ციხის მაზრის რეკომისის თავმჯდომარის აშხ. მალრაძის ხელახალ შეკითხვებზე განაცხადა, რომ რწმუნებულების ინსტიტუტი მოკლე დროში გაუქმდება სრულიად და მათი მოვალეობანი სასურსათო კომიტეტებს გადაეცემათ.

დაასრულ აშხ. სტურუამ კვლავ გაიმეორა, რომ სასურსათო კომისარიატმა მეტი კრიტიკა დაიმსაურა. მას ძლიერ მძიმე ტვიოთი აწევს, რომლის განხორციელება მხოლოდ ყველა ადგილობრივ პარტიულ, სახელმწიფოებრივ ორგანიზაციების და განსაკუთრებით რეკომების შექმნით არის შესაძლებელი და კიდევ მოუწოდა ყრილობას დახმარება გაეწია მის წევრებს სასურსათო კომისარიატისთვის ადგილებზე.

კამათის დასრულების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „ს. ს. ს. რ. სამაზრო რეკომების თავმჯდომარეთა და მათი მოადგილეების ყრილობამ მოიხმინა რა მოხსენება აშხ. სტურუასი სასურსათო კომისარიატის მოღვაწეობის შესახებ,

დაადგინა: სასურსათო კომისარიატის მოღვაწეობა მიჩნეულ იქნას არა დამაკმაყოფილებლად, რადგან მას არ ჰქონდა ვარკვეული სისტემა და უარკვეულმა ბაზი მოქმედებისა. ეს უს სტემობა გამოიხატა მასში, რომ სასურსათო კომისარიატი თავის დამამზადებელ ოპერაციების შესასრულებლად ხან რწმუნებულთა ინსტიტუტს ემყარებოდა, რომელნიც უჩველად საბჭოთა მოაგრობისადმი არა კეთილგანწყობილ ელემენტებისაგან შესდგებოდა, ხან სასურსათო კომიტეტებს, ხან კოოპერატივებს, ხოლო თვითონ სასურსათო კომისარიატი, როგორც სახელმწიფო ორგანიზაცია, არ იყო მოძრავი, ელასტიური და მადე შემოვლებული ჰქონდა ბიუროკრატიზმის გადაუვალი კედლები.

ყრილობა წინადადებას აძლევს სასურსათო კომისარიატს.

1. თაყოვნებლივ გააუქმოს რწმუნებულთა ინსტიტუტი და გადაეცეს მისი ფუნქციები სასურსათო კომიტეტებს და კოოპერატივებს.
2. მიღებულ იქნას ზომები დამშეულ მაზრებიდან ყოველივე ხორბლყულობის გამოზიდვის ასაკ-ძალავად.
3. მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები დასაფლეთ საქართველოს დასახსნელად მოსალოდნელი სიმშლისაგან.
4. მიღებულ იქნას ზომები დასაფლეთ საქართველოში სიმინდის შესაძენად, სადაც გოხებს მრავლად გამოაქვთ სიმინდი ბაზარზე, რომელიც იყიდება ძლიერ იაფ ფასებში.
5. შეცვლილი იქნას ზოგიერთ მაზრის მოსავლიანობის კატეგორიები, რადგანაც იგი არ შეესაბამება ამ მაზრების ნამდვილ მოსავლიანობას.

## შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის რე. სუი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან საფილტრაციო კომისიის დაარსება. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან დაარსდა და უკვე მუშაობს შეუდგა საფილტრაციო კომისია. კომისიის თავმჯდომარედ დანიშნა აშხ. აკაკი ქავთარაძე (ზუგდიდის სამაზრო რეკომისის ყოფილი თავმჯდომარე) და წევრებად: საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციიდან ახ. ჩიქოვანი და ქ. თბილისის რეკომიდან ადვინისტრაციული განყოფილების გამგის მოადგილე აშხ. ნეშაძე.

მუშება, წითელ არმიელებმა და მოსამსახურეებმა, რომლებსაც სჭირდებათ საცხოვრებელი ბინები, უნდა მიმართონ ზეჰოდასახელბულ კომისიას თავიანთი განცხადებებით, რომლებზედაც ვალდებულნი არიან იქონიონ სათანადო პროფკავშირების შრომის დაცვის განყოფილების სანქცია, ურომლისოდაც განცხადებები არ დაკმაყფლდებიან.



საფილტრაციო კომისია განიხილავს აგრეთვე იმ განცხადებებსაც, რომლებიც შეტანილი იყო ამ კომისიის დაარსებამდის.

— შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულ საქართველოს ცენტრო-ევაკის მუშაობა. საქართველოს ცენტრალურმა საევაკუაციო სამმართველომ თითქმის უკვე დაასრულა თავისი სამუშაოები. ასე რომ ზაფხულ-შემოდგომის საევაკუაციო მუშაობა დამთავრებულად უნდა ჩითვალოს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტყვეებისა, ლტოლვილთა და გადასახლებულთა იმ მცირე-რიცხოვან ჯგუფებს, რომლებიც ყოველდღე სისტემატიურად იგზავნიან სხვადასხვა მხარეს. მომავალ გაზაფხულის დასაწყისში ცენტრო-ევაკის სამმართველო ჰფიქრობს გააფართოვოს თავისი მუშაობა და მთელის ენერგიით შეუდგეს გადასახლებულთა გადაყვანის საქმეს ყარსიდან ჩრდილო კავკასიაში, ხოლო ჩრდილოკავკასიის სომეხ ლტოლვილთა კი—სომხეთში. გარდა ამისა სამმართველო ჰფიქრობს აგრეთვე ხელი შეუწყოს სომხეთში გადაყვანას იმ სომხებისა, რომლებიც მოილტვიან სტამბოლის მხრიდან.

მთელმა ზემოდასახელებულმა კონტინენტმა რიცხვით რამდენიმე ათეულმა ათასმა კაცმა უნდა გამოიაროს საქართველოს ტერიტორიაზე. მათი მსვლელობის მთავარ პუნქტებად დასახულია: ბათომი, მცხეთა და ნავთლული.

— ახალი საექიმო-საეტაპო პუნქტის დაარსება. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული საქართველოს ცენტრალური საევაკუაციო სამმართველო უკვე შეუდგა საექიმო-საეტაპო პუნქტის ორგანიზაციას ქალაქ ბათომში. აღნიშნულ პუნქტის ორგანიზაცია საფსებით დამთავრდება ახლო მომავალში.

საბანაკო შენობა. საქართველოს ცენტრალურ საევაკუაციო სამმართველოს საექიმო-საეტაპო პუნქტის შენობა, რომელიც სად. ნავთლულის ახლოს არის, უკვე გადაეცა თავის განკარგულებაში იძულებითი სამუშაოს მთავარ გამგეობას, რომელიც უკვე შეუდგა ამ შენობის შეკეთებას. შეკეთების დამთავრების შემდეგ, შენობას იძულებითი სამუშაოს გამგეობა გამოიყენებს იძულებითი მუშაობა-მისჯილთა ბანაკად.

— შუამდგომლობა. სამაზრო რევკომების თავმჯდომარეთა და მათ მოადგილეთა ყრილობამ, გაითვალისწინა რა ადგილებზე მომუშავეთა ძლიერი სიმცირე, შუამდგომლობა აღძრა, რომ ცენტრში შტატების შექმნის შემდეგ გადარჩენილი მომუშავენი განაწილებულ იქნან სამაზრო რევკომების განკარგულებაში; ყრილობამ ბაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ პროვინციისათვის საჭიროა არა მარტო სპეცები, არამედ კანცელარიის უბრალო მომუშავენიც.

აღნიშნული შუამდგომლობის შესახებ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა უკვე აცნობა საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა სამსახურის პრეზიდიუმს და სთხოვა მას სათანადო დასკვნა ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარების შესაძლებლობის შესახებ.

— იძულებითი სამუშაოს ცენტრალური ბანაკი. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულმა იძულებითი სამუშაოს მთავარმა სამმართველომ თბილისში უკვე დაარსა იძულებითი სამუშაოს ცენტრალური ბანაკი, რომელიც ნავარადევი 1000 პატიმრისათვის. ბანაკის მთავარ კორპუსისა და სხვა შენობათა შეკეთება, რომელსაც აწარმოებს „კომგოსორი“ უკვე მთავრდება.

— დარაჯთა რაზმის დაარსება. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული იძულებითი სამუშაოს მთავარი სამმართველო უკვე შეუდგა ახლად მოწყობილ ცენტრალურ ბანაკთან სათანადო დარაჯთა და მხლგებელთა რაზმის დაარსებას.

— მუშაობა იძულებითი სამუშაოს ცენტრალურ ბანაკში. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულ იძულებითი სამუშაოს სამმართველოს გადაწყვეტილი ჰქვს ყველა პატიმარი, რომელთაც იძულებითი მუშაობა ჰქვს მისჯილი, ბანაკში მიყვანისთანავე, გამოიყენოს საზოგადო ფიზიკურ მუშაობისათვის ბანაკს გარეშე, ან ბანაკში—სპეციალურად მოწყობილ სახელოსნოებში, როგორც არის მაგალითად: სადურგლო, სახორაზო, სამკურვალო, საზენიკლო და სხვები.

## მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

შ. ს. ს. კომისარიატის საინსტრუქტორო-საინფ. განყოფილებისა.  
(დასასრული).

რატომ ჰქვიან ჩვენს რესპუბლიკას სახელი სოციალისტური? ამაზე, რუსეთის შესახებ, პასუხს იძლევა ლენინი და პასუხი, რასაკვირველია, ჩვენთვისაც მისაღებია. ბევრსა ჰგონია რომ ეს სახელწოდება იმის გამომხატველია რომ დღესვე სოციალისტური პრინციპების თანახმად ვადგენთ საზოგადოებრივ ცხოვრების გარდაქმნას, რომ ეხლავ გამოყარებთ სოციალისტურ წესწყობილებას. ლენინის თქმით ეს გაუგებრობაა. სახელწოდება სოციალისტური, მისი თქმით გამომხატველია იმის, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი მუშაობა მიმართუ-



ლია იმ საბოლოო მიზნის, სოციალიზმის, განხორციელებისაკენ, ჩვენი რესპუბლიკა სოციალისტურია მხოლოდ იმიტომ, ამბობს ის რომ მასში ძლიერია სოციალისტურ წესწყობილების დამყარებისაკენ მიმართული მისი პოტენციალური ძალა. მაგრამ სოციალიზმი ეს საბოლოო მიზანია, ეხლა კი ჩვენ ვცხოვრობთ გარდამავალ ხანაში და თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ რუსეთი უაღრესად წვრილ ბურჟუაზიული ქვეყანაა და ეკონომიურად უკან ჩამორჩენილი და განუვითარებელი, ამავე დროს მას რკალავით შემორტყმული აქვს კაპიტალისტური სახელმწიფოები, სადაც სოციალისტური მოძრაობა არც ისეთი ჩქარი ნაბიჯით ვითარდება, როგორც ეს ბევრს ეგონა. ეს გარდამავალი პერიოდი არც ისე ხანმოკლე იქნება, როგორც ის ბევრს სურსო. ასეთ პირობებში როგორი უნდა იყოს სახელმწიფოებრივ პოლიტიკის ძირითადი პრინციპი? ალორძინება და განვითარება სხვილ წარმოების, გამაგრება და ხელის შეწყობა სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის, აი ის, რაც უნდა იყოს ჩვენთვის დღეს დღეობით ერთად ერთი საფიქრებელ საგნათ. შევძლებთ თუ არა ჩვენ ამას მხოლოდ ჩვენავე ძალებით? ვერა, ამ დიად საქმისათვის საჭიროა გამოვიყენოთ ყველა ძალები კონცესიების საშუალებით ერთგვარად დავიხმარიოთ უცხოელი კაპიტალი. ამა თუ იმ ქარხანა—ფაბრიკის ჩვენივე კაპიტალისტისადმი იჯარით გაცემით, ჩავაბათ ისიც ამ საქმეში. აგრეთვე აუცილებელია ანგარიში გაეწიოს წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტს, გლეხობას, რომელიც უდიდეს ძალას წარმოადგენს. რადგან სახელმწიფომ ვერ შესძლო შეექმნა ასეთი მდგომარეობა, რომ მას მიეწოდებია გლეხისათვის მისთვის საჭირო საქონელი და ჩამოერთვა ზედმეტი სოფლის ნაწარმოები, სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის აუცილებელია დაშვებულ და დაკანონებულ იქმნეს თავისუფალი ვაჭრობა. ეს აუცილებელია ქალაქთა და სოფელ შორის ეკონომიურ დამოკიდებულებათა გაჯანსაღებისათვის, ეს საჭიროა, როგორც სტიმული, გლეხის მიერ თავის მეურნეობის გაფართოება განვითარებისათვის, რაც აუცილებელ და უმთავრეს პირობას შეადგენს მსხვილ წარმოების არსებობა—განვითარებისათვის. ასე ამბობს ლენინი რუსეთზე და ყოველივე ეს ჩვენთვისაც სავსებით და უცვლელად მისაღებია. სწორეთ ამ პრინციპებიდან გამომდინარე ჩვენი მთავრობა, მითი ხელმძღვანელობს, სახელმწიფოებრივ აღმ-

შენებლობითი მუშაობაში, შეიძლება ეს არ იყოს ისე რადიკალური, როგორც ეს „შაბლონი“ რომელიც, სამწუხაროდ ჩვენში კიდევ ბევრს ასულდგმულებს, მაგრამ ასეთი ცხოვრების მოთხოვნილება, ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის საარსებო ინტერესები. ამ ძირითად პრინციპის გაცნობას შემდეგ, გადავიღეთ ჩვენი მთავრობის პოლიტიკის უფრო დეტალურად გაშუქებაზე, ოღონდ გახსოვდეთ რომ მთელი ამ პოლიტიკის დედა-ბოძი, დერძი, არის სწორეთ ის ეკონომიური პრინციპი, რომელზედაც ზემოთ მე მოგახსენებთ.

ყველაზე უფრო დიდ-მნიშვნელოვანი საკითხი ჩვენი ქვეყნისათვის არის მიწის საკითხი. ამ საკითხის მოსაგვარებლად გამოცემულია დეკრეტი № 17 და მთელი რიგი ცირკულიარ-განმარტებებისა. უნდა ითქვას მართალი, რომ მიწის საკითხის სათანადოდ გადაჭრა, ეს მეტად, მძიმე და რთული საქმეა, მაინც ჩვენში, სადაც სტატისტიკური გამოკვლევანი ნაკლებად გვაქვს და საერთოდ ამ საკითხის შესახებ სათანადო ლიტერატურული და სხვა მასალის დიდი სიმცირეა. ალბად ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მიწად-მოქმედების კომისარიატმა, 17 №—დეკრეტის გამოცემის შემდეგ, რომელიც რასაკვირველია ამ საკითხს ვერ სჭრიდა სავსებით, მხოლოდ განმარტავდა იმ პრინციპს, რომელიც უნდა დასდებოდა საფუძვლად ამ დიდს კმეს და მეტად—სქემატიურად სახავდა იმ გზას, რომლითაც ეს საკითხი საბოლოოდ უნდა მოგვეგებულიყო, მხოლოდ ეხლა შეუდგა დადებით მუშაობას. მიწა მიწის მუშას, ყველა მშრომელს იმდენი, რამდენის დამუშავება მას შეუძლია თავის შრომით, აი მთავარი პრინციპი. ამ პრინციპით უნდა ხელმძღვანელობდეთ მიწის საკითხის გადაჭრის დროს. მოგახსენებთ, რომ ჩვენში, ბევრს რაიონებში მიწის დიდი სიმცირეა, ბევრს რაიონში კი, მიწა საკმაოდ ბევრი მოიპოვება, მიწის ღირსება სხვა და სხვა რაიონებში ერთგვარი არ არის. საჭიროა დიდი წინასწარი მუშაობა სტატისტიკური და სხვა ამ საკითხის ყოველ მხრივ შესასწავლად. მიწის საკითხის რაციონალურად გადაჭრისათვის უთუოდ საჭირო ვახდება მცხოვრებთა ერთ რაიონიდან მეორეში გადასახლება-გადაჯგუფება, ეს საქმე კი მეტად რთული და მძიმეა, თანაც დიდ ხარჯებს მოითხოვს. აი უმთავრესად ის მიზეზები, რომელთა გამო მიწის საკითხის მოწესრიგება ასეთი ნელი ტემპით წარმოებს. ეს წინასწარი მუშაობა უკვე წარმოებს, ის მალე დამთავრდება და მიწის



კომიტეტებიც შეუდგებიან მიწების განაწილებას. როგორც ზევით მოგახსენებთ, მდგომარეობა სხვა და სხვა რაიონში ერთგვარი არ არის, ამიტომ ცენტრიდან, საერთო საზოგადოებრივ მთელ რესპუბლიკისათვის, გამომუშავება მიწის იმ ნორმის, რომელიც მშრომელს უნდა მიეცეს, არ იქნებოდა მიზანშეწონილი, მეტად, ეს შექმნიდა ანორმალურ მდგომარეობას, რადგან ის ნორმა, რომელიც ერთ რაიონისათვის საყოფი და მისაღები იქნებოდა, მეორე რაიონისათვის, სადაც უფრო მიწა ნაკლები ღირსებისაა, სრულიად მიუღებელი იქნებოდა და სხვა. ამიტომ ამ საკითხის გადაჭრა, ყოველ რაიონისათვის ცალკე, ადგილობრივ პირობების მიხედვით, მიენდო მიწის კოპისიებს, რომლებსაც ირჩევს მშრომელი ხალხი და რომლის მუშაობაშიდაც მონაწილეობს უსათუოდ მიწათ-მოქმედების კომისარიატის წარმომადგენელი. თქვენ უწყით, რომ ბევრს რაიონებში შესდგენ მიწის კოპისიები, არა იმ წესით, როგორც ნაჩვენებია დეკრეტში. ეს კოპისიები შეუდგენ მიწის გადანაწილებას და რადგან ამას წინ არ უსწრებდა არაფიარობი წინასწარი მუშაობა არამც თუ სამაზოო, სარაიონო ფარგლებშიდაც-კი, ყოველ სოფელში ეს კოპისიები მოქმედობდნენ სრულიად დამოუკიდებლად, მათ შორის არაფიარობი კავშირი არ იყო, ამიტომაც მათმა მუშაობამ უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ არეულობა შეიტანა ამ საქმეში. მაგალითად სენაკის მაზრაში ზოგიერთ მცირე მიწიან სოფელში, შეუდგენ მცირე მიწიან გლეხების მიწის გადანაწილებას, ართმედენ ისეთებსაც კი ვისაც ქცევა ნახევარი, ორი ქცევა ქონდათ. ეს იმის გარდა რომ საერთო საქმისათვის საზიანოა, ეს დარღვევა კანონისაც. სანამ სათანადო წესით არ შედგარან კოპისიები, ფაქტური მფლობელობა დაცულ უნდა იქმნეს. ამ ბოლო დროს გავრცელებულია ასეთი შემცდარი აზრი, ვითომც ამ კოპისიებს უფლება აქვთ სრულიად არ მისცენ სოფლის ამა თუ იმ მცხოვრებს მიწა, მიუხედავთ იმისა, რომ ის თავის შრომით მის დამუშავებას აპირებს. კანონით კოპისიებს ასეთი უფლება არ აქვთ, ასეთი უფლების მათთვის მინიჭება, დამეთანხმებით, მეტად საზიანო იქნებოდა სახელმწიფოსათვის. თქვენ აცით, როგ ერთგვარი გამონაკლისის შეადგენს საბჭოთა დაწესებულების მუშა მოსამსახურენი. მათ ეძლევათ უფლება თავის მიწების შეთანხმებით, იჯარით გაცემის. ამას მოითხოვს სახელმწიფოებრივი ინტერესები, ეს საჭიროა, ეს ასეთ უნდა იქნეს. ამის შესახებ მე უკვე მოგახსენეთ. ორიოდ სიტყვას მო-

გახსენებთ წისკვილების შესახებ. ზევით მოგახსენებდით, რომ ზოგიერთ რაიონებში, იმის და მიუხედავთ რომ ჩვენში უმეტესი წისკვილები ეკუთვნის მშრომელ გლეხობას ისიც არა ერთს და ორს გათვანს, არამედ 50—60 და ხშირად 100-ზე მეტ კომლს, გამოაცხადეს წისკვილების ნაციონალიზაცია, იმის და მიუხედავთ რომ ეს სავსებით ეწინააღმდეგებოდა მთავრობის მთელ პოლიტიკას, ამას, არც ადგილობრივი საჭიროება მოითხოვდა. შედეგი, ბევრი წისკვილები გაფუჭდნენ, ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან შეუძლებელი იყო ამ წისკვილების მოსაფლელად საჭირო აპარატის შექმნა. 13 ივანობისთვის მთავრობის კატეგორიულმა დადგენილებამ საბოლოოდ გადაჭრა ეს საკითხი. წისკვილები რჩებათ მათ მებატონეებს, ამა თუ იმ წისკვილის ნაციონალიზაციის უფლება აქვს მხოლოდ უმაღლეს სამეურნეო საბჭოს. წისკვილების შემოსავალი კი დაბეგრულია, ეს ბევრს არ უნდა აღეპატებოდეს შემოსავლის 115-ს.

მიწის საკითხთან დაკავშირებულია მეორე, სახელმწიფოსათვის უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის შესახებ დიდი მსჯელობა და კამათი იყო რუსეთში. ამ საკითხის მიწესრიგებას, და მის სათანადო გადაჭრას პირდაპირ საარსებო მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსათვის. მოგახსენებთ რომ სახელმწიფოს მეტად დიდი და რთული მოვალეობანი აწევს კისერზე. გარდა იმისა რომ მას ყავს შესანახა ჯარი, სახელმწიფო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურენი და ამავე დროს აწარმოებს აღმშენებლობითი მუშაობას თვით სოფლის საჭიროებისათვის აუაზებელ ხარჯებს სწევს. სწავლავანათლების საქმე, გზები, სანიტარია და სხვა, ეს ყოველივე ხომ მისი საკეთებელი საქმეა, ეს კი ყოველივე დიდ ხარჯებს მოითხოვს. მოგახსენებთ თუ როგორ გართულდა ეკონომიურ პირობებში გვიხდება ცხოვრება, ეს ძარტო ჩვენში კი არ არის, ეს თითქმის ყველგან, ზოგჯერ უფრო მეტად, ზოგან უფრო სუსტად, არსებობს. უმაგალითო რომა, რომელიც ჯერ კიდევ სავსებით არ დამთავრებულა, თავის უარყოფითი ბეჭედი დაასვა ცხოვრების ყოველ მხარეს, განსაკუთრებით ეკონომიურს. ეკონომიურ მდგომარეობის გართულებაა სწორეთ მიზეზი ჩვენი ფულის ღირებულების დავარდნის. ფულს ფასი დაეარგა, ასეთ პირობებში რა უნდა ქნას სახელმწიფო? რასაკვირველია მან უნდა მიიღოს ყოველი ზომა ფინანსიურ მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის, მაგრამ ეს მეტად რთული საქმეა და



არც მარტო ჩვენზეა დამოკიდებული. ყოველ შემთხვევაში ახლო მომავალში საგრძნობლად ამ მხრივ მდგომარეობას ვერ შევსცვლით. ამიტომ საქიროა, რომ სახელმწიფოს სოფელმა ნაწილობრივ მაინც დაუბრუნოს ნაწილი იმ ხარჯებისა, რომელსაც ის ეწევა სოფლისათვის და დაუბრუნოს სოფლისვე მეურნეობას ნაწარმობით. თქვენ გაცნობილი ხართ ამ გადასახადის რაოდენობას და დამეთანხმებით რომ ჩვენს გლახს უხდება თავის შემოსავლის სულ მცირედი ნაწილის გაღება სახელმწიფოსათვის, დანარჩენი მას მის სრულ განკარგულებაში რჩება და მას თავისუფლად შეუწლია ეს გამოიტანოს ბაზარზე და გადასცვალოს მისთვის საჭირო საქონელზე. ეს გარემოება ხაზგასმით აღნიშნეთ ყველგან, რადგან ამის შესახებ ადგილობრივ ბევრ გაუგებრობას აქვს ადგილი. სასურსათო გადასახადი აკრეფილ უნდა იქნეს, თქვენ ყველანი ვალდებული ხართ ყოველნაირად ხელი შეუწყოთ ამას. გახსოვდესთ რომ სახელმწიფოებრივ ცხოვრებისათვის ამას საარსებო მნიშვნელობა აქვს.

სოფლის ნაწარმოების ბაზარზე გამოტანა და აქ იმის სხვა საქონელზე გადაცვლა, სწორეთ ეს გახლავთ ვაჭრობა და როგორც მოგახსენეთ ვაჭრობა თავისუფალია. არც შეიძლება სხვანაირად იყოს, რადგან სახელმწიფოს არ ძალუძს საქონლის გაცვლა-გამოცვლის საქმე თვით მხოლოდ საკუთარი ძალღონით მოაწესრიგოს. როდესაც თავისუფალ ვაჭრობაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, მაშინვე მის მოწინააღმდეგენი განგაშს ტყვენ იმის შესახებ, რომ ამით კანონდება სპეკულიაცია. რა არის სპეკულიაცია? ეს მცნება მეტად გამოურკვეველი რამ არის, მხოლოდ ის კი ფაქტია, რომ სადაც არსებობს ვაჭრობა იქ არსებობს და კიდევ უნდა არსებობდეს სპეკულიაცია, ეს მისი თანდაყოლილი თვისებაა, ასე ამბობს ლენინი. ის კიდევ უფრო შორს მიდის და კატეგორიულად ამბობს, რომ ის ვინც ფიქრობს, რომ სიკვდილით დასჯით ან საერთოდ რეპრესიებით შეიძლება სპეკულიაციასთან ბრძოლა, როგორც ამას საფრანგეთის რევოლიუციის დროს სჩადიოდნენ, ის დიდი ჭკუის პატრონი არ არისო. მეტად ასეთი საშუალებით სპეკულიაციასთან ბრძოლა ყოველ რევოლიუციონერში ზიზღს უნდა იწვევდესო. აქიდან რასაკვირველია არ გამოძინარეობს ის რომ ზოგიერთ ადვირ-წახსნილი სპეკულიანტის წინააღმდეგ არ უნდა იყოს ასალაგმავი ზომები მიღებული. არა, საშიშოა მხოლოდ, როდესაც ვინმეს გონია რეპრესიებით ეკონომიურ

მოუწესრიგობას შეებრძოლოს და იმედი აქვს ამით რაიმე დადებით მიზანს მიაღწიოს. სპეკულიაციას უნდა დაუბრუნდარიოთ სახელმწიფოს ხელში მყოფ წარმოებათა გაფართოება—გამაგრება, კოოპერატივების გამრავლება და საერთოდ ეკონომიურ ცხოვრების გაჯანსაღება. ჩვენისთანა ეკონომიურად ჩამორჩენილ ხალხისათვის, როდესაც ნემსი, ასანთი და სხვა ასეთი საქირო და უბრალო საქონელიც-კი შემოსატანი ვვაქვს, უბრაველეს საქმეთ უნდა იყოს წარმოების გახვითარება. ხურავინ იფიქრებს, რომ სახელმწიფო ამას მხოლოდ თავის საკუთარ ძალეებით შესძლებს. ამისათვის საჭიროა ფართეთ გამოყენებულ იქნეს კერძო ინიციატივა, როგორც უცხოელი, ისე შინაური კაპიტალი. ამაში ხელავს ერთად-ერთ გამოსავალს რუსეთისათვის ლენინი, სხვა გზას ვერც ჩვენ გამოვძებნით.

ზემოთ მე მოგახსენეთ გავკრით ფინანსიურ მდგომარეობის გაჯანსაღების ძესახებ: თქვენ გახსოვთ რომ თავში, საბჭოთა ძალა-უფლების დაძვარებისთანავე ყველაფერი უფასო გახდა, ფოსტა, რკინის გზა, წაძალი და სხვა. ამავე დროს გაუქმებულ იქმნა ყოველივე გადასახადი და ეს მაშინ, როდესაც დაკახონდა თავისუფალი ვაჭრობა და სხვა. ე. ი. ძეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ სახელმწიფოს უხდა ებეჭდა და ებეჭდა ბიზნები თავი-ხარჯების დასაფარავად, შემოსავალი კი მას არასფერი ჰქონდა. ეს რასაკვირველია სცემდა ფულის ფასს და ართულებდა ფინანსიურ მდგომარეობას. ამავე დროს, როგორც მოგახსენეთ, არსებობდა თავისული ვაჭრობა, ძთელი ოიგი ძოქალაქეთა ვაჭრობით ჯიბეებს ისქელეადა და ამავე დროს სრულიად უფასოდ სარგეილობდა სახელმწიფოს ყოველნაირ დაბძარებით. ასეთი მდგომარეობა რასაკვირველია ანორმალური და სახელმწიფოსათვის საზიანო კი არა, პირდაპირ დაძლუპველი იყო. ყოველივე ეს ხომ არც იმ ძთავარ ეკონომიურ პოინციპს ეთანხმებოდა, რომელიც ძთავრობის ძიერ აღიარებულ იყო თავშივე. და თუ ეს მაინც მოხდა, ეს უძთავრესად „შაბლონის“ ძრალია. სახელმწიფო ეხლა საჩქარო ზომებს ღებულობს ასეთ მდგომარეობის გამოსასწორებლად, შემოდებულია და ამავე დროს ძუშავდება და უახლოეს დროში შემოდებულ იქმნება ძთელი რიგი გადასახადებისა. რასაკვირველია ეს გადასახადები ძძიმე ტვირთათ არ დააწობა მშრომელ ხალხს, მას უძთავრესად გაიღებს ის, ვინც მოგებით ან სხვიანი შრომით ცხოვრობს. სახელმწიფოებრივ ცხოვრების ამ მხარესაც



თქვენს საინსტრუქტორო მუშაობაში ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექციოთ და ამ საკითხის სწორი გაშუქებით, ხელი შეუწყოთ მის სათანადო ცხოვრებაში გატარებას.

როდესაც მიწის საკითხზე მოგახსენებთ მე შეგნებულათ არაფერი გითხარიო ერთი საკითხის შესახებ, რომელიც საფსებით, სოფლის მეურნეობასთან არის დაკავშირებული, რადგან მინდოდა ამ საკითხისათვის მიმექცია თქვენი განსაკუთრებული ყურადღება. მე მოგახსენებთ კომუნალურ პრინციპებზე აგებულ მეურნეობის დაარსება-განვითარებაზე. ჩვენი სოფელი საშინლად ჩამორჩენილია ეკონომიურად, ის მეტად ღარიბია საწარმოვო იარაღით და მაინც ცოცხალი ინვენტარით. მიწა მიწის მუშაას, ეს მეტად დიდი პრინციპია, მაგრამ მიწისთან ერთად, სწორეთ მის დასამუშავებლათ, საჭიროა ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი, სახელმწიფო მას ამით ვერ უზრუნველყოფს. ერთად ერთი გამოსავალი სამეურნეო ამხანაგობების დაარსება და მისი განვითარება-გამაგრებაა. ამას ჩვენი სასოფლო მეურნეობის წარმატებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ უფრო დიდი მნიშვნელობა ამას აქვს მეორე მხრივაც. გლეხის ფსიხოლოგია უალრესად წვრილ ბურჟუაზიული პსიხოლოგიაა; ამ ფსიხოლოგიის გარდაქმნისათვის, მის კერძო-საკუთარულ პსიხიკის შესარყევეად არაფერს არ აქვს ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორც კომუნალურ მეურნეობას. მას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, მხოლოდ და მხოლოდ ამ გზით შეიძლება ჩვენს გლეხობაში გავანვითაროთ საზოგადოებრივი გრძნობა, სოციალისტური შეგნება.

მე რასაკვირველია მეტად მოკლედ და სქემატიურად გადმოგვცით მთავრობის პოლიტიკის ზოგიერთი მთავარი დებულებანი და მისი საერთო მიმართულება. ნ თვის მუშაობამ თქვენ დიდი გამოცდილება შეგძინათ, აღგილობრივ ცხოვრების ვაცნობამ თქვენ შეგასწავლათ, თუ როგორ უკეთესია აღგილობრივ მუშაობა.

თქვენ იცით, რომ დიდი სიღინჯე და ტაქტი არის საჭირო. ამისათვის ყოველ შემთხვევაში ამ ყრილობას შინაგან საქმეთა სახალხო კომის. დიდ მნიშვნელობას აძლევს. აქ ჩვენ უნდა ვავაცნოთ ერთმანეთს ჩვენი დაკვირვება-გამოცდილებანი, აქ ჩვენ შეერთებულ ძალ-ღონით უნდა გამოვიმუშავოთ ის საერთო გზა, რომლითაც უფრო უმტკივნეულად და უკეთესად შევიძლებთ იმ დიდ საქმის

გაკეთებას რომელიც ჩვენ დაკისრებული ვართ. მაშ მეტი ენერგია და საქმისადმი სიყვარული, დარწმუნებული ვიყოთ რომ ეს შეგვაძლებინებს ყველა დაბრკოლებათა დაძლევას და ბოლოს და ბოლოს ჩვენ უთუოდ შევიძლებთ ჩვენი ერის მდგომარეობის გაუმჯობესებას და განმტკიცებას.

ფუსურვით ამხანაგებო ჩვენს პირველ ყრილობას ნაყოფიერი მუშაობა.

### მარჩის რეკომენდუ.

#### ნ. ბორჩალოს მარჩა.

ბორჩალოს მარჩა ჩვენი რესპუბლიკის ერთი იმ პროვინციათაგანია რომელშიაც ნიადაგი აქვს ხოლმე ბევრნაირ მიმართულებას. ამის მიზეზი აღგილობრივ მცხოვრებთა ეროვნულ შემადგენლობაშია. წითელი ლაშქრის შემოსვლა საქართველოში პირველად ამ მარჩიდან მოხდა. ამან გამოიწვია, სხვათაშორის ის გარემოებაც, რომ საბჭოთა ხელის უფლებების ორგანოები, ყველაზე უწინ ამ მარჩაში მოეწყო ეკატერინფელდში 17 თებერვალს დაარსდა სამარჩო რევიკომი, რომელშიც შევიდნენ წევრებთ ზოგი თანამგრძნობი კომუნისტური პარტიის და ზოგიც მენშევიკების დროს ამ რაიონში არალეგალურად მომუშავე კომუნისტი. ვინაიდან მარჩის რევიკომი მოეწყო ვაცილებით უფრო ადრე, ვინემ ცენტრის ორგანოები, ამიტომ პირველ ხანებში მას არავითარი სახელმძღვანელო ინსტრუქცია, ან დირექტივები არ ჰქონია და ცხადია ასეთ პირობებში ბევრ შეცდომას და დეფექტს ექნებოდა აღგილი. ერთი ასეთი დეფექტთაგანი იყო თითქმის ყველა სოფელში ცალკე რევიკომის დაარსება. სოფელი, რომელშიაც მხოლოდ 15-20 კომლი მოსახლე იყო კი არ შეერთებია მეორეს, არამედ ცალკე ერთეულად დარჩა. შემდეგში ეს ნაკლი გამოსწორებულ იქნა და სოფლის რევიკომების შაგიერ, დაარსდა სათემო ერთეულები, რომელშიც თავი მოეყარა რამდენიმე მცირე რიცხოვან მოსახლეობიან სოფელს.

ვინაიდან მარჩაში უმთავრესად ცხოვრობენ მაჰმადიანები და სომხები, რომლებიც ერთმანეთთან მტრულად არიან განწყობილნი, ამიტომ რევიკომმა მიიღო სასწრაფო ზომები რათა მათ შორის ხელისუფლების მოუწყობელობის გამო, არ ამტყდარიყო უთანხმოება. რევიკომი დებულო-



ბლა სასტიკ და სასწრაფო ზომებს, რათა ძირშივე მოეხსოვებოდა ბევრგვარი პროვოკაცია, რომელიც აშინებდა მცხოვრებთ და განსაკუთრებით კი ქართველ მოსახლეობას. ასეთი როლი რევკომმა პირნათლად შეასრულა და აფორიაქებული ნერვები თანდათანობით დაწყნარდა.

ადმინისტრაციული მხრივ მთელი მაზრა დაყოფილ იქნა ექვს რაიონად (დღევანდელი დანაწილება სხვადასხვა). ყველგან მოიწყო სარაიონო რევკომი, რომელშიც უმთავრესად პარტიული პირები შედიოდნენ. მათი პირველი ხნის მუშაობა ცენტრიდან დირექტივების უქონლობის გამო, მიმდინარეობდა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის გაოცდებების და დებოლებების თანახმად. მხოლოდ მარტის მიწურულში, მიიღო ბორჩალოს ხელისუფლების ცენტრალურმა ორგანომ, დირექტივები ცენტრიდან გ. ი. თფილისიდან და ამის შემდეგ მუშაობის სახე შეიცვალა. მუშაობა შეფერხებული იყო საკანცლარო ნივთების და საერთოდ საქმის წარმოებელი საშუალებათა ნაკლებობით.

დამოკიდებულება წალკის რაიონთან ძალიან ძნელი იყო მაზრის რევკომისათვის და ამიტომ ეს რაიონი ჩამოსცილდნენ ბორჩალოს და მიეკუთვნა თფილისის მაზრას. მაგრამ სანამ წალკის რაიონის გამოყოფის საკითხი გადაწყდებოდა, ბორჩალოს მაზრის რევკომმა აქაც გასწია შეძლებისდაგვარად, იგივე მუშაობა, როგორსაც სხვა რაიონებში იწეოდა. საბოლოოდ იმ გარდამავალ ხანაში როცა ბორჩალოს მაზრის საზღვრები (საქართველოს რესპუბლიკაში შემავალი ნაწილი), არ იყო გამორკვეული რევკომი ცდილობდა ყველგან წესდებების აღდგენას. რევკომს აკლდა მომუშავეთა საკმაო რიცხვი და ამიტომ ყვილა რაიონს ერთნაირად ვერ უვლიდა. მაგრამ შედეგში ბორჩალოს მაზრა თანდათანობით მოიფინა რევკომების მთელი რიგით და მუშაობაც გაჩაღდა.

რაც შეეხება თვით მაზრის რევკომის აღდგენას, იგი, 17 თებერვლიდანვე შეიუდგა თავისი შინაგანი აგეულობის მოწყობას. პირველად გაიმართა შინაგან მართვლობის განყოფილება, რომელთანაც დაარსდა საერთო ადმინისტრაციული, მილიციის, ფინანსური, სამხედრო, სახალხო განათლების, სახალხო მეურნეობის განყოფილება სასურსათო შარავზების და ჯანმრთელობის ქვეგანყოფილებებით. ყველა განყოფილება დაარსებიდანვე შეუდგა მუშაობას. თანამშრომელთა შენადგენლობა მოწვეულ იქნა ყოველი ერობის ორგანოებში მომუშავე პირებისაგან, მაგრამ ღიდის შერჩევით და წარსულის გათვალისწინებით. რაც დრო გადმოდა მით უფრო მეტი ყურადღება და დახმარება იყო ცენტრიდან და არასასურველი პირების მაგიერ, თანამშრომლებთან რევკომს უფრო დაახლოვებული პირები ემატებოდნენ.

სასურსათო განყოფილება შედეგში გადაკეთდა სამაზრო სასურსათო კომიტეტად. აღსანიშნა-

ვია ის სამწუხარო მოვლენა, რომ მიუხედავად იმისა რომ საწყობებში კომიტეტს დიდძალი სიმდიდრე იდგებოდა, მოსამსახურენი, არ იყვნენ დაკმაყოფილებული სანოვაციო პირველ მისამდე, და საერთოდ უღელუთი კმაყოფა მოსამსახურეთა ცუდად იყო მოწყობილი. ჰეფერტიებში სარჩოს მიუწოდებლობამ ის გამოიწვია, რომ თანამშრომლები თავს ანებებდნენ სანსახურს და ამავე მიზეზით იშლებოდა მილიციაც.

ასეთი გარემოება ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა მაზრის რევკომს და ხელს უშლიდა მის ნორმალურ მუშაობას. მაზრის სასურსათო კომიტეტმა, მხოლოდ ძალიან დაგვიანებით დაარბა უღელუთა დადგინილი ნორმით.

სამაზრო მილიციის განყოფილება მოიწყო ადგილობრივი კოლონისტებისაგან. მოიწყო ცენტრში მილიციის ქვეითი და ცხინოსანი რიზარეი, მაზრის რაიონებათ და თეებათ დანაწილებისათნ ერთად, ამ ერთეულებში მოიწყო მილიციის ორგანოებიც. მილიციონირებად თებულობდნენ მხოლოდ და მხოლოდ კარგი წარსულის ხალხს და ისეთებს, რომლებიც თანაოგრძნობდნენ საბჭოთა ხილისუფლებას. მაგრამ სამწუხაროდ მილიციის სასურველი სახის შემადგენლობა ვერ შეინახა მაზრის რევკომმა, რადგან ისინი არ იყვნენ ნივთიერად უზრუნველყოფილნი და რევკომს არავითარი საშუალება არ გააჩნდა ამ ნაკლის დასაძლევად.

მაზრის რევკომისათვის წარდგინილ აშავა ხერაოს რაიონული რევკომის მიერ მოხსენებიდან სჩანს, რომ 15 მარტიდან 1 ივნისამდე რაიონში ჰქონია ადგილი 1 მკაღელლობას, ორჯილ საქონლის და ცხენის მოპარვას. რაიონს ესაქირობა ძლიერი ორგანიზაცია. არაა არავითარი განყოფილება, არც სააენჩოსი, გაზეთები შუილავერიდან მოდის თვეში ერთხელ ან ორჯილ, სოფლის რევკომებში მოექცნენ შეძლებულები, რომლებიც არ ეგუებოდნენ საბჭოთა სისტემას.

არაა სურსათი მოსამსახურეთათვის, ამიტომ უპრაოდესობა სტოვებს სამსახურს; საჭიროა გადახლისება სოფლის რევკომებისა. საქმის წარმოება არ იყო სასურველად დაყნებული.

გაყავთ და გააქეთ აზერბეიჯანს და სომხეთს საქონელი, ცხინები და სხ. ერთის სიტყვით ყოველგვარი კონტრბანდა. ეს ხდება იმიტომ რომ შტატი არაა საკმარისი.


რაც შეეხება შუილავრის რაიონს, აქ უნდა აღინიშნოს, რომ შუილავერში თვით ქალაქში არსებობს ცალკე რევკომი, რომელიც ცალკე თემის ერთეულის მსგავსადაა მოწყობილი, მხოლოდ გაცილებით უფრო ფართე ფუნქციებით და მაშტაბითაც. პირველად შუილავრის რევკომი შესდგებაქობან გამოგზავნილი პირებისაგან. სურსათის და სანოვაციის სიფიწროის დროს, და მაშინ როცა არავითარი საშუალება არ ჰქონდა ორგანოს, იძუ-



ლობულნი იყენენ მიწოდებით წითელ არმიელე-  
ბისათვის (რაცხვია 1200) სურსათ-სანოვაგე, რო-  
მელსაც შოულობდა რევკომი ადგილობრივ თვით-  
დაბეგვრის საშუალებით. შემდეგში საქმე გამოკეთ-  
და. გაიხსნა საბჭოთა სასადილო, საიდანაც ყოველ-  
დღიურად 200—250 სადილი ურიგდებოდა მოსამ-  
სახურეთ და უღარიბეს ელემენტებს, გაიხსნა სამ-  
ქედლო-საზეინკლო სახელოსნო, სადაც 15 კაცი  
მუშაობდა, საბჭოთა საპარკმანერო, სათეატრო  
სექცია, რომელშიც 12 სცენის მოყვარე იყო;  
შემდეგ, ვინაიდან ძალიან ნაკლებობა იყო სურსათ-  
სანოვაგის, შატინგების და სხვადასხვა დადგენი-  
ლებების საშუალებით მოგროვილ იქნა 600 ფუთი  
ხორბალი, რომელიც განაწილდა უუღარიბეს  
მცხოვრებთა შორის, იმ ფასებში რაც იგი რევკომს  
დაუჯდა — შემოსული თანხა კი საფასურში მიეცა  
ხორბლის პატრონებს. დამუშავებულ იქნა 15 დე-  
სეტინა საფონდო მიწა სასურსათო კომიტეტისა-  
თვის, შეკეთდა სარწყავი არხები 40 ვერსტის მან-  
ძილზე და არის აგრეთვე ბოსტანი, ორი დესე-  
ტინა. შაბათობის საშუალებით დამუშავებული  
პროპაგანდის და სხ. ზომების საშუალებით, შედა-  
რებით შარშანდელთან დახსულ-დათესილი იქნა  
1000-პროც. შეტი სახნავი მიწა. რევკომმა მიიღო  
ზომები ბოროტ-მოქმედებათა აღმოსაფხვრელად და  
შესაფერ შედეგსაც მიაღწია. სახალხო განათლების  
საქმეში, უმთავრესი ყურადღება მიექცა შკოლების  
აღდგენას.

ქალაქში ორი შკოლა იყო, რუმელშიც 200  
მოწაფე სწავლობდა. მიღებულ ზომებით მცდე-  
ნობა აღდგენილ იქნა ორივე შკოლაში, რასაც  
დიდი დახმარება გაუწია მასწავლებელთა პერსო-  
ნალმა. ივნისში უკვე 8000 მოწაფე ითვლებოდა  
ორივე შკოლაში. ხელს უშლის საქმის უკეთესად  
დაყენებას სახელმძღვანელოების უქონლობა. სა-  
ხალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და კომუ-  
ნალური მეურნეობის განყოფილებათა მოქმედება  
შემდეგში გამოიხატა: განყოფილებამ გახსნა: საბ-  
ჭოს საზეინკლო-სამქედლო სახელოსნო, საპარკ-  
მანერო, რომელსაც ჰქონდა შემოსავალი 87,850  
მან. (ხარჯი კი პირველ ხანებში, მოწყობა და სხვა  
და სხვა სჭირდება 89,200 მან.) სახელოსნოში,  
მისი გახსნიდან, 27 მაისამდე შეკეთებულ იქნა 31  
გუთანი, სპიდა 11 ცალი, ბორბალი 7, დაიქ და  
117 ხარი, კამეჩი 76, ცხენი 6, მილიციის 28  
ცხენი, საპიწათმოქმედო და აგრონომიული განყო-  
ფილებაში, პირველი ხანს მუშაობა იყო სასოფ-  
ლო-სამეურნეო ინვენტარის მოგროვება და ცნობა-  
ში მოყვანა; მიღებულ იქნა ზომები, რათა არ  
გაენადგურებიათ და არ გაეძარცვათ სახელმწიფო  
მამულების საწყობები; შესდგა დახსული მიწებს  
სიები, გაიმართა შაბათობა და ამით დიდი დახმა-  
რება აღმოეჩინა ღარიბ მცხოვრებთ. შაბათობისავე  
საშუალებით გაწმენდილ იქნა სარწყავი არხები.

(შემდეგი იქნება)







# შინაგან

## გე-XXV-ე №-ში მოთავსებულ მასალები:

- 1) დეკრეტი № 84 საქ. რეგკომისა საფასურების უაღვა-გაუიღვისა და შენახვის თავისუფალ რეგ-რაციების წარმომების აკრძალვის შესახებ.
- 2) „ № 85 საქ. რეგკომისა ყურნალ-გაყეთების გაუიღვის ზიარების შესახებ. გვ. 2-3.
- 3) დებულება სათემო და სამაზრო საბჭოებისა და საქართველს საბჭოთა ურილობის არჩევნებისათვის. გვ. 4-7.
- 4) ინსტრუქცია საქ. სოც. საბჭ. რესპ. საბჭოთა სა-არჩევნო კომისიებს. გვ. 7-9.
- 5) დადგენილება შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის ყურ. „შინაგან“-ზე 1922 წ. 1 იანვრიდან ფასის დიწესებისა და ფასიანი განცხადებების დაბეჭდვის შესახებ გვ. 9-10.
- 6) ცირკულიარად უველა მაზრის, ქადაქის და ოლქის შიდიციის უფროსთ. გვ. 10.
- 7) დებულებანი ს. ს. ს. რ. სისსლის სასამართლოს სახელმძღვანელოდ. გვ. 10-13.
- 8) დადგენილება შრომის სახელბო კომისარიატის უმუშეგანთა რეკისტრაციის შესახებ. გვ. 13.
- 9) ინსტრუქცია ქართულ ცალკე შეერთებულ ბოგადის და მუშათა და გლეხთა ინსპექციისადმი. გვ. 13-14.

- 10) დადგენილება შრომის სახ. კომისარიატისა და საქართველს ჰროფკავშირთა საბჭოს ნორმის მარწესრიგების განყოფილებისა 1921 წ. 8 დეკემბრის თარიღით. გვ. 14-45.

### არაოფიციალური განყოფილება

- 11) კომუნალური მეურნეობის მთავარ სამმართველს გაუქმების შესახებ. გვ. 15-17.
- 12) მოქალაქობრივ მდგომარეობის ახალი რეგისტრაცია. გვ. 17-20.
- 13) დეკრეტის № 83-ის განმარტება გვ. 20-21.
- 14) მაზრისა და ქადაქის რეგკომების თავმჯ. და შათი მოადგიელების ურილობა. გვ. 21-24.
- 15) შინაგან საქმეთა სახელბო კომისარიატში. გვ. 24-25.
- 16) მოხსენება შ. ს. ს. კომისარიატის საინსტრუქტორ-საინფორმაციო განყოფილებისა. გვ. 25-29.
- 17) მაზრის რეგკომებში. გვ. 29-31.